საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 2 ნოემბერი. 2018 წ. №220 (8621) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გაქოცებული თალლითი ნაციონალები

ლაშა გოგია და გია გულორდავა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

სუს-ი ადასტურებს, რომ ანტიკორუფციულმა სააგენტომ ზუგდიდის ყოფილი მერი და ვიცე-მერი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ლაშა გოგია და ყოფილი ვიცე-მერი გია გულორდავა დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის პირველ ნახევარში ლაშა გოგიამ და გია გულორდავამ, რომლებიც იმ პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის და ვიცე-მერის თანამდებობებს იკავებდნენ, ქალაქ ზუგდიდში მდებარე გულუას ბაღის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიების იჯარით გასაცემ აუქციონზე გატანის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს და გამოართვეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა — 21 500 აშშ დოლარი. შეთანხმების მიხედვით, 11 500 აშშ დოლარი განკუთვნილი იყო გულუას ბაღის იჯარით გადაცემისთვის, ხოლო 10 000 აშშ დოლარი — რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის იჯარით გადაცემისთვის. 2018 წლის მაისში იმავე მოქალაქემ 10 000 აშშ დოლარი პირადად გადასცა გია გულორდავას, ხოლო 11 500 აშშ დოლარი მათთვის გადასაცემად 2018 წლის 7 ივნისს ჩარიცხა გია გულორდავას მიერ მითითებული პიროვნების ხ.ბ-ს სახელზე, საბანკო გზავნილის სახით, რასაც საბოლოოდ დაეუფლნენ გია გულორდავა და ლაშა გოგია.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“.

იგორ გიორგაძე: სააკაშვილის დედა ჩვენს აგენტად მუშაობდა, ბიძამისი თემურ ალასანიას

5

დღის მოწოდება

მეტი და მეტი ყურადღება ხალხის გულისხმას:

პოლიტიკურად საეჭვო აგენტებმა ბევრ გაჭირვებულ ოჯახს „ბრმად“ შეუწყვიტეს სოციალური შემწეობა, ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიხედოს ამ უკანონოდ შემწეობაშეწყვეტილ ოჯახებს!

ჯონ ბოლტონთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია სრული სიცრუეა!

— ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალიან ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების თანამშრომლობა აქვს.

„ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოს შეუძლია საკუთარი ტექნოლოგიების პასუხისმგებლიანად მოხმარება და კონტროლი-გამოყენება. ინფორმაცია, რაც გავრცელდა არის აბსოლუტური სიცრუე“, — განაცხადა მან.

ცნობისთვის, report-blogs.com-ზე გამოქვეყნდა ცრუ ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ჯონ ბოლტონმა საქართველოში ვიზიტისას საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილა, რუსეთს „ჯაველინები“ არ გადასცეს.

ბიძინა ივანიშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის კიდევ ერთი შეხვედრა

„ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე არჩევნების მეორე ტური განიხილეს. შეხვედრას ესწრებოდა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილიც. ბიძინა ივანიშვილი გუშინწინ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრებსაც შეხვდა.

„ქართულ ოცნების“ ცენტრალურ შტაბს ირაკლი კობახიძე, თბილისის შტაბს კი, კახა კალაძე უხელმძღვანელებს

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურისთვის პარტია „ქართულ ოცნების“ ცენტრალურ შტაბს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, თბილისის შტაბს კი, თბილისის მერი კახა კალაძე უხელმძღვანელებს.

ცნობისთვის, დღეს „ქართულ ოცნების“ ცენტრალურ ოფისში ბიძინა ივანიშვილისა და საპარლამენტო უმრავლესობის შემხვედრა გაიმართა. ცენტრალურ ოფისში ივანიშვილი გუშინ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრებს შეხვდა.

საქართველოს ეკლესიას უნდა ახსოვდეს ისტორია!

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის (კიევის საპატრიარქოს) პატრიარქმა ფილარეტმა „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შეახსენა, რომ ისიც მსგავს ვითარებაში იმყოფებოდა, როცა დაკარგა ავტოკეფალია რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ.

„გვსურს, შევახსენოთ მათ, რომ იყო დრო, როცა რუსეთის სახელმწიფომ მოსპო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და თბილისში დანიშნა რუსი ეგზარქოსი. ამდენად, საქართველოს ეკლესიას უნდა ახსოვდეს ისტორია. ასეთივე ისტორიას გადის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. რა გვსურს საქართველოს ეკლესიისაგან? გვსურს, რომ როცა უკრაინის ეკლესია მიიღებს ავტოკეფალიის ტომოსს, საქართველოს ეკლესია შევიდეს ლოცვის ერთობაში უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. და ჩვენ გვაქვს ამის იმედი, რადგან ქართველი ხალხი ისევე უჭერს მხარს უკრაინელ ხალხს, როგორც უკრაინელი ხალხი ქართველ ხალხს. ამის საფუძველზე ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეკლესია მხარს დაუჭერს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას“, — განაცხადა პატრიარქმა ფილარეტმა და აღნიშნა, რომ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების პროცესის დაწყების შემდეგ მას საქართველოს პატრიარქთან კონტაქტი არ ჰქონია.

პატრიარქი ფილარეტი ამბობს, რომ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მხარს დაუჭერს უკრაინის ეკლესიას.

ალექსანდრე ხვთისიაშვილი მინისტრის მოადგილეა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის 2018 წლის 31 ოქტომბრის №408 ბრძანებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ალექსანდრე ხვთისიაშვილი. ალექსანდრე ხვთისიაშვილი გახლავთ კარიერული დიპლომატი. მინისტრის მოადგილედ წარდგენამდე, 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტს.

მას აქვს საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება — 2011-2014 წლებში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი მრჩეველი იყო, ხოლო 2010-2011 წლებში — საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი მრჩეველი.

ალექსანდრე ხვთისიაშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა დროს იყო ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ევროკავშირის პოლიტიკის ანალიზისა და პროგრამების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციების სამმართველოს მრჩეველი. ალექსანდრე ხვთისიაშვილს 2017 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი. მინისტრის მოადგილის რანგში ის მოვალეობის შესრულებას 2018 წლის 1 ნოემბრიდან შეუდგა.

მიხეილ ნინუა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის 2018 წლის 31 ოქტომბრის №406 ბრძანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მიხეილ ნინუა დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„მიხეილ ნინუას გააჩნია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. 2005-2006 წლებში საქმიანობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში; მას შემდეგ ეკავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობები. მიხეილ ნინუა სხვადასხვა დროს გახლდათ ფოთის პორტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

2010 წელს საქმიანობა განაგრძო კანადურ-ბრიტანულ ნავთობსაძიებო კომპანია „Tethys Petroleum Limited“-ში, სადაც ჯერ ტაჯიკეთში არსებული კომპანიის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა, ხოლო 2013 წლიდან 2016 წლამდე წარმოადგენდა ზემოაღნიშნულ კომპანიას ყაზახეთის რესპუბლიკაში.

2015-2017 წლებში გახლდათ ტაჯიკეთის რესპუბლიკის ნავთობ-საძიებო კომპანიის „Skyland Petroleum Group“ საოპერაციო დირექტორი; 2017 წლიდან კი კომპანია „Avenue Construction Georgia“-ის დირექტორი.

2007 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი. მიხეილ ნინუა მინისტრის მოადგილის რანგში საქმიანობას 2018 წლის 5 ნოემბრიდან შეუდგება“, — აღნიშნავენ უწყებაში.

მუხიანში, ექვს ოჯახს საკუთრების მოწმობები გადაეცა

ფაქტიურ მფლობელობაში არსებული ფართობების დაკანონების პროცესი გრძელდება. ამჯერად, გლდანის რაიონში, მუხიანის მეოთხე ა მიკრორაიონის №10 კორპუსში მცხოვრებ ექვს ოჯახს ფართები სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადაეცა.

აღნიშნული ოჯახები №10 კორპუსში წლების განმავლობაში ცხოვრობენ. მათ პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ხელშეკრულებები და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადაეცათ. ხელშეკრულებები და საკუთრების მოწმობები აღნიშნულ ოჯახებს გლდანის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ქეთევან ჯოხაძესთან და თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად გადასცა.

შემზარავი ტრაგედია ქედაში!

ქედაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა შორის 10 წლის მოზარდია. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში აცხადებენ, რომ ავარიის შედეგად სულ სამი ადამიანი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, გარდაცვლილთა შორის 22 წლის პატარძალია, რომელსაც გუშინ ბათუმში ქორწილი ჰქონდა და სოფელში, სახლში ბრუნდებოდა. მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს. თვითმხილველების ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევისას მსუბუქი ავტომობილი სოფელ დოლოგანში ცენტრალურ გზაზე მილს დაეჯახა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ იზიარებს გარდაცვლილთა ოჯახების ტრაგედიას.

ⓒ ცესკოს განცხადება

რა უნდა ვიცოდეთ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით?!

„პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) წარმოგიდგენთ ინფორმაციას გარკვეული პროცედურებისა და ვადების შესახებ.

იმისათვის, რომ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ კენჭისყრაში მონაწილეობა, უნდა იყვნენ საკონსულო აღრიცხვაზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საზღვარგარეთის მისამართზე რეგისტრირებული.

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში და არ იმყოფებიან საკონსულო აღრიცხვაზე, უკვე შეუძლიათ მიმართონ საკონსულო დაწესებულებებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ან ეწვიონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ვებგვერდს www.geoconsul.gov.ge და ონლაინ დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე.

საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეების სიის ცესკოსთვის გადაცემის ბოლო ვადა დაკავშირებულია არჩევნების მეორე ტურის თარიღთან და მას ცესკო განსაზღვრავს 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შეჯამების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიები არაუგვიანეს 8 ნოემბრისა შეაჯამებენ არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქებში. შესაბამისად, ცესკო გეგმავს უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვროს არჩევნების მეორე ტურისთვის საჭირო პროცედურები და ვადები.

ამასთან, ცესკო პირველი ტურის საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე, ოფიციალურად, განკარგულებით განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის თარიღს“, — ნათქვამია განცხადებაში.

დრო ჩართულია!

უშიშროების საბჭოს გარეშე ქვეყნის დატოვება არც ერთი დღით არ შეიძლება!

საქართველოს ახალი კონსტიტუციით, რომელიც სულ მალე, ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის მომენტიდან შევა ძალაში, წყვეტს ფუნქციონირებას უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა — უშიშროების საბჭო, რომელიც იყო წლების განმავლობაში ფორმატი და ფორუმი იმისთვის, რომ ქვეყანაში მიღებული ყოფილიყო პოლიტიკურად გაერთიანებული გადაწყვეტილებები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასთან მიმართებაში, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ბათუმში საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების რიგით მე-12 კონფერენციის გახსნაზე განაცხადა. მისი თქმით, ასეთი სტრუქტურის არარსებობა ჩვენს სახელმწიფო სისტემაში არის ის სირთულე, რომელიც აღიარებული არის ჩვენი პარტნიორების მიერ.

„მეტიც, პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელმაც კონსტიტუციაში შეწყვიტა ამ სტრუქტურის არსებობა, თქვა, რომ ამ სტრუქტურის შემცვლელი სტრუქტურა იქნებოდა შემუშავებული და შექმნილი; ქვეყანას არ ექნებოდა პერიოდი, როდესაც არ იქნებოდა ის ფორმატი, რასაც უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე თავდაცვისუნარიანობასთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებების ადგილი ჰქვია. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ჩვენ კიდევ ერთხელ, წლის ბოლომდე გვეყოლება ახალი პრეზიდენტი, გვექნება ახალი კონსტიტუცია და არ გვექნება უშიშროების საბჭო. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად წარმატებებისა, თავდაცვისუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით, თავდაცვის სამინისტროდან ან ქართულ ჯარში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მებრძოლების კვალიფიკაცია ყოველდღიურად იმატებს, მიუხედავად იმისა, რომ ღრმავდება ჩვენი კოორდინაცია ჩვენს პარტნიორებთან, აუცილებელია სტრუქტურა, სადაც უმაღლესი თანამდებობის პირები მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ხაზს ვუსვამ, არა ანალიტიკურ გადაწყვეტილებებს, არამედ ანალიტიკაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილებებს, რომელიც შემდეგ გახდება საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი დირექტივა, როგორც თავდაცვის სამინისტროსთვის, ასევე გენერალური შტაბისთვის და სხვა უწყებებისთვის. იმიტომ, რომ ჩვენი სამხედროები, რომლებიც გმირულად იცავენ საკუთარ სამშობლოს ყველაზე საშიში მტრის წინააღმდეგ, უნდა იყვნენ სრულიად გამართულები თავიანთ ქმედებებში და იმ ბრძანებების აღსრულებაში, რომელიც მათ მიეცემათ პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არ შეიძლება ქვეყნის არც ერთი დღით დატოვება ასეთი სტრუქტურის გარეშე. სამწუხაროდ, ჩვენ არა ვართ ისეთი ქვეყანა, რომელსაც ერთი დღე, ორი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე ან 6 თვე წყნარად ფეხი ფეხზე გადაიდოს და დაელოდოს, რომ ოდესღაც რაღაც იქნება შექმნილი“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ტოტალური თავდაცვის პრინციპები უნდა დავნერგოთ

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბათუმში, საქართველოს თავდაცვისა და

უსაფრთხოების რიგით მე-12 კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების მტკიცე მხარდაჭერა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების პროცესში.

„საერთაშორისო თანამეგობრობა ერთიანი და პრინციპული უნდა იყოს სუვერენული ქვეყნების თავისუფლებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის სადარაჯოზე, რადგან საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვა არის ერთადერთი გზა მსოფლიოში იმისკენ, რომ უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა და უსაფრთხოება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაინერგოს ტოტალური თავდაცვის პრინციპი. დღევანდელი კონფერენცია გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ კიდევ ერთხელ ვიმსჯელოთ ამ პრინციპზე და შევაჯეროთ პოზიციები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერება ავიმაღლოთ!

პროექტის „ენერგოაუდიტორების ტრენინგი და სერტიფიცირება, შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია“ წარმატებით დასრულებას გუშინ კონფერენცია მიეძღვნა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნათია თურნავამ გახსნა. პროექტი დანიის სამეზობლო პროგრამის „საქართველოში ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის მხარდაჭერის“ ფარგლებში განხორციელდა

პროექტი ჩატარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკის დეპარტამენტისა და ახალციხის, ბოლნისის, ზუგდიდის, ქუთაისის, რუსთავის მუნიციპალიტეტებისა და თბილისის მერიის მხარდაჭერით. 65 საზოგადოებრივ შენობაში ჩატარდა ენერგომონიტორინგი, 40-მა სპეციალისტმა გაიარა ენერგოაუდიტორთა მომზადების პრაქტიკული კურსი, ხოლო 50 საზოგადოებრივ შენობაში ჩატარდა ენერგოაუდიტი. გარდა ამისა, 66 შენობის მენეჯერმა ახალციხის, ბოლნისის, ქუთაისის, რუსთავის, თბილისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებიდან მონაწილეობა მიიღო ცნობიერების ამაღლების კამპანიასა და ენერგომონიტორინგის დანერგვაში. შენობების მართვისა და ექსპლუატაციის პროცესში ენერგოეფექტური ღონისძიებების წარმატებით დანერგვისათვის ცნობიერების კამპანიაში ჩართული შენობების მენეჯერებს გადაეცათ ჯილდოები.

შსს-ს საგანგებო განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით

შინაგან საქმეთა სამინისტრო 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას და მომდევნო დღეებში დაფიქსირებული ინციდენტების და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ.

2018 წლის 30 ოქტომბერს ახალქალაქში მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონულ სამმართველოში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილით დაიწყო.

შეტყობინების მიღებისთანავე ჩატარდა გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი და მიმდებარე ტერიტორია. დაკითხულია ათობით მოწმე, მათ შორის გაერთიანებული ოპოზიციისა და პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, კონფლიქტის შემსწრე და სისხლის სამართლის საქმესთან კავშირში მყოფი სხვა პირები. მხარეები და მოწმეები დაპირისპირების სხვადასხვა მოტივზე საუბრობენ. ამ დრომდე ვერ მოხერხდა ყველა დაზარალებულის გამოკითხვა. 2018 წლის 30 ოქტომბერს დაზარალებულებმა უარი თქვეს გამოკითხვაზე, რამაც საწყის ეტაპზე გამოძიებას შეუქმნა გარკვეული პრობლემები ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კუთხით. 2018 წლის 31 ოქტომბერს ზემოაღნიშნული პირები დათანხმდნენ გამოძიებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და ორი მათგანი უკვე გამოკითხულია.

საქმეზე ინტენსიურად გრძელდება გამოძიება დანაშაულის მოტივის და ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, გამოძიება უმოკლეს ვადებში იმსჯელებს დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის საკითხზე. გამოძიების ფარგლებში ჩატარდება ასევე სასამართლო-სამედიცინო და სხვა აუცილებელი ექსპერტიზები. მუშავდება შემთხვევის ადგილზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები.

რაც შეეხება, არჩევნების დღეს და მომდევნო დღეებში მომხდარ სხვა ინციდენტებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირებას, არჩევნების დღეს პოლიციის შესაბამისი დანაყოფები მთელი საქართველოს მასშტაბით უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. დაფიქსირდა რამდენიმე ინციდენტი, რასთან დაკავშირებითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირება იყო მყისიერი.

18 ინციდენტის შესწავლის შედეგად არ დადასტურდა დანაშაულის ჩადენა, რის გამოც გამოძიება არ დაწყებულა.

6 ინციდენტის შესწავლა ამჟამადაც მიმდინარეობს. საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლის თავიდან ასარიდებლად, მათივე სურვილით, არ გამოკითხულან შეტყობინების ინიციატორები, რომლებიც საარჩევნო უბნებზე მუშაობდნენ. აღნიშნული პირების გამოკითხვის შემდეგ, დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, მოხდება შესაბამისი რეაგირება.

გამოძიება დაწყებულ საქმეთა შორის არის მარნეულის ინციდენტი, რაზეც მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. მარნეულში მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების დროს კონფლიქტის მონაწილეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდარღვევის აღსაკვეთად ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომლებს, რის გამოც სამართალდამცველებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთი წევრი და „ქართული ოცნების“ ერთი წევრი.

აქვე გვსურს, გაცნობოთ, რომ არჩევნებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე სხვადასხვა საქმეზე მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 15 პირი, რომელთა შორის არიან როგორც ოპოზიციური, ისე მმართველი პარტიის წევრები, მათ შორის, ქუთაისის საკრებულოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

მოვუწოდებთ საზოგადოებას, ხელი შეუწყონ არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარებას. სამართალდარღვევის ჩამდენი ნებისმიერი პირის მიმართ, განურჩევლად ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისადმი მათი კუთვნილებისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოიყენებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

იმედი კარგია, მაგრამ, მაინც საქმეა მთავარი!

მივა განაწყენებული ამომრჩეველი არჩევნებზე?!

საქართველოს პრეზიდენტს არჩევნების მეორე ტური გამოავლენს — საექსპერტო წრეებში მსგავსი მოლოდინი არსებობდა, თუმცა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის აშკარა უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგებოდა. როგორ მოხდა ისე, რომ სალომე ზურაბიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატს მხოლოდ უმნიშვნელო ხმებით უგებს; რამ გამოიწვია ამომრჩევლის პროტესტი, რომელიც არჩევნებზე არმისვლაში გამოიხატა და აქვს თუ არა ხელისუფლებას შანსი, სიტუაცია მისთვის სასარგებლო კალაპოტში გადაიყვანოს, ამ თემებზე ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება:

— ის, რომ მეორე ტური იქნებოდა, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა ასეთ მცირე სხვაობას არ ველოდი, ვფიქრობდი, რომ 5-7%-იანი სხვაობა მაინც იქნებოდა პირველ ორ საპრეზიდენტო კანდიდატს შორის სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ, მაგრამ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

რაც შეეხება ფაქტორებს, რამაც გამოიწვია ეს შედეგი — პირველი გახლავთ ის, რომ დიდი ხანია, ვამჩნევდით, „ქართული ოცნება“ კარგავდა რეიტინგს. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ვამბობდი, რომ შემოდგომამდე ჰქონდა დრო „ქართულ ოცნებას“ პროცესის შესაჩერებლად და მისთვის სასარგებლოდ შემოსაბრუნებლად, რომ უფრო გვიან ყველაფერი იქნებოდა ძალიან რთული, მაგრამ მსგავსი შეფასებები მათ ყურად არ იღეს და პროცესი გაგრძელდა ისე, როგორც მიდიოდა...

ამას დაემატა თავად საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ ჩატარებული კამპანია, რომელიც შეცდომებით იყო სავსე, ოპონენტებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ეს შეცდომები მათთვის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ნუ დაგვავიწყდება ბოლოდროინდელი გასაჯაროებული ფარული ჩანაწერები, პლუს ორი პრესკონფერენცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჩაატარა და რომელმაც ასევე გაალიზიანა საზოგადოების დიდი ნაწილი.

შეძლებს „ქართული ოცნება“, რომ ერთ თვეში შემოატრიალოს სიტუაცია?! აქ ლაპარაკია იმაზე, რომ 1,6 მილიონი ამომრჩეველი ძალიან მცირეა. მეორე ტურის შემთხვევაში პოლიტიკური ძალები სულ სხვანაირად განლაგდებიან და „ქართული ოცნება“ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს გამარჯვებას, თუ ამომრჩეველს მიიყვანს საარჩევნო ურნებთან. იმ ამომრჩეველს, რომელსაც ბოლო პრესკონფერენციაზე ივანიშვილი ეხვეწებოდა, თქვენი ჭირიმე, კიდევ ერთხელ დაგვიჭირეთ მხარი და ერთ წელიწადში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევაო!

ირწმუნებს კი ამომრჩეველი კიდევ ერთხელ ივანიშვილის დაპირებას? ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია შესაძლოა, ის აღმოჩნდეს, რომ ამომრჩეველმა არ დაუშვას „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება.

მაგრამ, რამდენად შეძლებს ხელისუფლება საკუთარი ამომრჩევლის მიყვანას, მისი გამარჯვების საკითხი მხოლოდ ამ ფაქტორზეა დამოკიდებული.

რთული სათქმელია, რა უნდა მოიფიქროს „ქართულმა ოცნებამ“ ერთ თვეში ისეთი, რომ ეს მოახერხოს, მაგრამ, რაღაც მექანიზმი რომ უნდა აამუშაოს და შეცვალოს დამოკიდებულება ამომრჩევლის მიმართ, ეს აშკარაა.

— უკვე ყოფილი პრეზიდენტის წარმომადგენელი ანა დოლიძე მიიჩნევს, რომ ამომრჩეველმა „ორიანი“ დაუწერა „ოცნებას“ „სარალიძის ტკივილისთვის, 2008 წლის ომის ჩვენთვის დაბრალებისთვის, კანაფის პოპულარიზაციისთვის, კობახიძის თავხედობისთვის“. თვლით, რომ ეს თემები იყო გადამწყვეტი თუ სულ სხვა ფაქტორებმა იმუშავა, თუნდაც იმან, რომ უმძიმესი სოციალური ფონია და ხალხს, რომელსაც საკვებისა და წამლის შეძენის პრობლემა აქვს, არ ანაღვლებს, ვინ გახდება პრეზიდენტი?

— ის, რაზეც ანა დოლოძე საუბრობს არის დამატებითი ფაქტორები, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი. ომის თემა კიდევ სხვა მსჯელობის საგანია, იმუშავა კანაფის თემამაც, მაგრამ ამ ყველაფერს საფუძვლად უდევს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც უაღრესად რთულია.

იმის მაგივრად, რომ 2012-დან 2016 წლამდე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა მომხდარიყო, მოხდა ისე, რომ ეს კლასი ფაქტობრივად განადგურდა და საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებსაც კი საარსებო პრობლემები გაუჩნდათ. ეს მხოლოდ ჭარბვალიანობის თემა არ არის — რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ, რომ დოლარის გაძცეული კურსი ინფლაციაზე არ მოქმედებს, ასე არ არის. არ ვიცი, ინფლაციას ესენი რას ეძახიან, მაგრამ საბაზრო ფასებზე ნამდვილად ასახულია და ყველას ბიუჯეტზე მოქმედებს, იმის მიუხედავად აძვს სესხი აღებული თუ არა. სწორედ ამ მდგომარეობას ვგულისხმობდი, როდესაც ვამბობდი, რომ რაღაც აუცილებლად იყო შესაცვლელი. ნაცვლად ამისა მივიღეთ ის, რომ წავიდა კვირიკაშვილის მთავრობა და მოვიდა ბახტაძის მთავრობა...

თუნდაც ის განცხადებები ხელისუფლების მხრიდან, რომ ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატია, ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობას არასერიოზულად ეპყრობიან — ამ ქვეყანაში მოიძებნება ვინმე, ვინც თვლის, რომ ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატია?! როდესაც ამომრჩევლის მიმართ ასეთი დამოკიდებულებაა, ამომრჩეველიც შესაბამისად პასუხობს — მხოლოდ ეს არ არის, იყო სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც — მაგალითად, პრემიერად ნიშნავ ბახტაძეს, რომელსაც გუნდი ლიდერად არ აღიარებს — დამორჩილება სხვაა და აღიარება — სხვა. როდესაც ამბობ, რომ ჩხარტიშვილმა 100:0 მოუგო ხაზარაძეს, რას ნიშნავს? — შეიძლება შენ თვლი ასე, მაგრამ ხაზარაძე ეთანხმება? — თუ ფიქრობს, რომ პროტესტის შემთხვევაში ბიზნესს დაუნგრევენ?!

როდესაც დაბრუნდა ივანიშვილი, არასწორად დაბრუნდა და არაერთხელ მითქვამს ეს — უნდა დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც მართვა შეიძლებოდა და თავის მართლება, რომ ახლა აღარ არის ჩრდილოვანი მმართველობა, არაფრის მომტანია. რა მივიღეთ? — პოლიტბიურო?! — კონსტიტუციით, პრემიერი უნდა იყოს ქვეყნის პირველი პირი და არა პარტიის თავმჯდომარე.

— კახა კალაძემ გამართა სპეციალური ბრიფინგი, სადაც აღნიშნა, რომ ამ არჩევნებით ხალხმა ხელისუფლებას გაუგზავნა შეტყობინება, რომ ქვეყანაში ბევრი რამე შესაცვლელია, სწრაფად, ეფექტურად და თითოეული მოქალაქის ინტერესის გათვალისწინებით, რომ გადაჭარბებული თვითდაჯერებულობის გამო მთელ რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა ადეკვატური უკუკავშირი, კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ა.შ. კალაძე ამბობს, რომ გზავნილი მიღებულია და მზად არიან, ქმედითი ნაბიჯებით უპასუხონ ამ გამოწვევას — შეცდომების აღიარება საკმარისია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ ირწმუნოს ხალხმა?

— ქვეყანა რომ არასწორად ვითარდებოდა, ამაზე მუდმივად საუბრობდნენ საექსპერტო წრეებში — პირადი ინტერესი არავის ამოძრავებდა და, ალბათ, ღირდა, ამ შეფასებებისთვის ყურადღების მიქცევა.

კალაძე მართალია, როდესაც ამბობს, რომ ხალხი იმაზე მეტად კრიტიკულია, ვიდრე ეს ხელისუფლებას წარმოედგინა, მაგრამ განცხადებები საკმარისი არ არის. მოქმედებაა საჭირო, გადაწყვეტილებები და ა.შ. ამიტომ ვამბობ, რომ ერთი თვე აქვს დარჩენილი სიტუაციის შემოსაბრუნებლად.

„ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ის, რომ თავისი რიგები პოლიტიკოსებისგან გაწმინდა და დატოვა წმინდა ტექნიკური პერსონალი როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში. სახელმწიფოს მართვა ასე მარტივად არ ხდება.

პოლიტიკოსებს დიდი გზა აქვთ გავლილი და უამრავი პრობლემა უნახავთ. „ქართულ ოცნებაში“ სულ ოთხი თუ ხუთი კაცია, ისიც პარლამენტში, ვისაც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება გააჩნია და აქედან, ვის აქვს იმისი გამბედაობა რომ თქვას ის, რაც არასწორად კეთდება, ეს კიდევ, ცალკე საკითხია.

როგორც ჩანს, გუნდის შიგნით არ არის ის სიტუაცია, როდესაც არგუმენტირებას კონკრეტულ დასკვნამდე მიჰყავს ხელისუფლება — თუ თვლი, რომ ვინც გაკრიტიკებს, აუცილებლად მოწინააღმდეგეა, მაშინ იძულებული ხარ, ჩუმად იყო და ამ სიჩუმით ისევ საერთო საქმე ფუჭდება.

როდესაც ივანიშვილი პრემიერობიდან მიდიოდა, ღია წერილითაც მივმართე, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა.

ჩემთვის, პირადად, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ივანიშვილი პრემიერი იქნება თუ პარტიის თავმჯდომარე — არცერთ შემთხვევაში პირადი სარგებლის მომტანი ნამდვილად არ არის. მაგრამ რაკი მაქვს ასეთი მოსაზრება და ვცდილობ მის არგუმენტირებას, ნუ მიიღებ როგორც აპრიორს, მაგრამ ხომ შეიძლება დაფიქრდე მაინც, რატომ უჩნდება ამ ადამიანს ასეთი მოსაზრება? როდესაც ვამბობდი, რომ არასწორად ბრუნდებოდა პოლიტიკაში, იქაც არგუმენტები მქონდა — სახელმწიფოს მართვა სხვაა, ბიზნესის — სხვა და ერთნაირი მენეჯმენტი ვერ იმუშავებს.

არ ვიცი, რამდენად არის ამ მენეჯმენტის ნაწილი ის პიარ-ჯგუფი, რომელმაც ივანიშვილის ბრიფინგების თემატიკა და პარლამენტის თავმჯდომარის ბოლო გამოსვლა დაგეგმა, მაგრამ თუ მათი რჩევით ხდება ეს ყველაფერი, ეს ჯგუფი უბრალოდ, გასაშვებია, რადგან ამ სტრატეგიამ მოიტანა ფაქტობრივად, უკუშედეგები. უმარტივეს მაგალითს მოვიყვან — სალომე ზურაბიშვილს შტაბის უფროსი არ ჰყავდა, მის ნაცვლად პარლამენტის თავმჯდომარეს რომ არ ელაპარაკა? — ამასაც დიდი ფილოსოფია სჭირდებოდა?! ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ვთვლი, რომ პოლიტიკის საერთოდ არაფერი არ ესმის და დაუშვებს ეს ხალხი შეცდომებს აბა, რა იქნება.

— თუ ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლის მობილიზება, მისი დარწმუნება, რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?

— გაიმარჯვებს ვაშაძე, მოხდება საზოგადოების გადაწყობა. „ქართულმა ოცნებამ“ მოახდინა თვითიზოლაცია — არ დარჩა არც მეტ-ნაკლებად თავისუფალი საექსპერტო წრეები და მედია, არც პოლიტიკური წრეები, ვისთანაც „ოცნება“ პარტნიორობს. ყველა გარიყა და დარჩა მარტო.

მივიღებთ იმას, რომ ვაშაძე გახდება პრეზიდენტი, რაც მაინც და მაინც არ წაადგება ქვეყანას. ეს ნიშნავს, რომ მომავალი ორი წელი მუდმივი დაპირისპირების მოწმე ვიქნებით...

ამჟამად, ერთადერსი რესურსი მხოლოდ „ოცნებაზე“ განაწყენებული ამომრჩევლის არჩევნებზე მიყვანაა, თუმცა, ამას როგორ მოახერხებს, ვერ გეტყვით.

ესაუბრა
ლალი ზირაქიშვილი

სალომე ზურაბიშვილმა მომღერლებს 500-500 ლარი უნდა გადაუხადოს

სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბმა საკონცერტო პროგრამის შესრულებისთვის მომღერლების ნაწილს 500-500 ლარი უნდა გადაუხადოს, ხოლო რეჟისორს — 1000 ლარი.

ზოგიერთი მომღერალი ხელშეკრულებების მიხედვით 600 ლარს მიიღებს, ნაწილი — 571 ლარს, ნაწილი 240 — ლარს, ხოლო ზოგიერთი — 142 ლარს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ზურაბიშვილის კამპანიის ხარჯები გამოაქვეყნა.

როგორც ცნობილია, მუსიკოსებმა სალომე ზურაბიშვილის კამპანიაში მიიღეს მონაწილეობა. მათ სპორტის სასახლეში სალომე ზურაბიშვილის შემაჯამებელ საარჩევნო შეხვედრაზე იმღერეს და გამოჩნდნენ მის მხარდამჭერ კლიპშიც.



დამარცხებულთ!

დაიწყო მეორე ტურისთვის მზადება და განსხვავებით აქამდე ჩატარებული სხვა „მეორე ტურებისგან“, ორივე ბანაკში საკმაოდ დიდი რუზრუზი და რია-რიაა ატეხილი.

„ქართული ოცნება“ უკვე შეუდგა ძირეული რეფორმების განხორციელებას, რაც მათი შეკრებებიდან გამოტანილი ჭორების გარდა, იმითაც ჩანს, რომ მეორე ტურის საარჩევნო კამპანიას ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება ნაცებს, ისინი ვერ გამოვიდნენ იმ ამაზრზენი სტილიდან, რაც მუდამ ჰქონდათ და ჯერჯერობით ისევ ძველ, ძალადობრივ რელსებზე დგანან. სავარაუდოდ, ისინი რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ მიხვდებიან, რომ მიმართულება უნდა შეცვალონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობა აღარ უსმენს ცხვრის ტყავში გადაცმული მგლების მხრიდან სათნოებაზე საუბარს (ოდნავ ქვემოთ იხ. სააკაშვილის „გოდება“).

საზოგადოება ადეკვატურად რეაგირებს ამ ყველაფერზე და სოციალური ქსელი, ფაქტობრივად, რომელიღაც პოლიტიკურ თოქ-შოუდ არის გადაქცეული, სადაც დილიდან დილამდე მწვავე დებატებია გაჩაღებული.

ვკითხულობ ძალიან ბევრ ემოციურ პოსტს და მინდა ვთქვა, რომ პათოსი ძალიან მომწონს, მაგრამ...

და ეს ოხერი „მაგრამ“!

დასაწყისში ვიტყვი – პირველი ტურის შედეგები ძალიან კარგი იყო. ძალიან კარგი, იმ უმარტივესი მიზეზების გამო, რომ:

1. უხეშად რომ ვთქვა, თეთრი ტრაკიც გამოჩნდა და შავიც.

2. საზოგადოება, რომელიც რაღაცნაირად ინერტული გახდა, ინერტული არა შიშის, ან გადაზულუქებული ცხოვრების გამო, არამედ რაღაც ეფემერული იმედების მოლოდინით, მიხვდა, რომ მისი ხმის გარეშე, მკაფიო და ზუსტად ჩამოყალიბებული მოთხოვნების გარეშე, ქვეყანა ჭაობში ჩაეფლობა.

3. ხელისუფლება თავისი იმ მცდელობის შემდეგ, რომლითაც პირველი ტურის კრახი (მოდით და პირდაპირ ვთქვათ – სწორედაც რომ კრახი!) მოსახლეობისთვის გადაებრალებინა, საზოგადოებისგან საკმაოდ სერიოზულ განმარტებებს წააწყდა (რბილად ვამბობ). განმარტებებს, რომლითაც დაანახეს, რომ ხალხი ის თოვლის გუნდაა, რომელიც ზვავად გადაიქცევა და ნებისმიერ წინააღმდეგობას გადაუვლის.

4. ნათლად გამოჩნდა, რომ ცვლილებები აუცილებელია. ცვლილებები არა გვარებში, არამედ მენტალური ცვლილებები. ცვლილებები როგორც ხელისუფლების, ისევე საზოგადოების მენტალიტეტში. იმ მენტალიტეტში, რომელიც ხელისუფლებას ქვეცნობიერში გამჯდარი აქვს როგორც – ყველაფრის გადამწყვეტი, ხოლო საზოგადოებას – ის ჩემი ბიძაშვილის ნათლიის მეზობლის დამწყვეტი, ხოლო საზოგადოებას – ის ჩემი ბიძაშვილის ნათლიის მეზობლის გვერდზე ქუჩაზე ცხოვრობს და კარგი ბიჭია.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მმართველი პარტიის წევრმა, კრწანისის მაჟორიტარმა ბექა ოდიშარიამ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ისაუბრა: **„ხალხს სურს, რომ ხელისუფლებას ახსოვდეს ძველი თანამებრძოლები, შეუვალი იყოს კორუფციის საწყის გამოვლინებებთანაც მიმართებაში, ებრძოლოს უქნარა, ისევე როგორც მავნებელ ჩინოვნიკებს, ლატენტურად შეფარულ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს, რომლებიც მავნებლობენ სახელმწიფო სტრუქტურებში და შეგახსენებთ თუნდაც ვიზალიბერალიზაციის პროცესთან მიმართებაში ზოგიერთის მიერ „გაწეულ“ აქტივობას.**

ამავე გზავნილში ადამიანები გვიწუნებენ მდორე ტემპს, რომელიც შეეხება უკანონო ქონებების დაბრუნებას და სხვა სამართლებრივი საკითხების დროულ გადაჭრას, მინდა, ამ ხალხს მივმართო, შესმენილია და ჩემი გუნდის სახელით მე ვიძლევი პირობას, რომ უახლოეს კვირებში ეს საზოგადოება დაინახავს ხელისუფლების, პარლამენტის და მმართველი პარტიის წიაღში გადადგმულ ნაბიჯებს და ინიციატივებს ამ მიმართულებით“ – განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

ძალიან კარგი, თუ მმართველმა ძალამ ეს დაინახა და ამ ერთ თვეში რეალური ცვლილებების დაწყებას დაგვანახებს.

ერთს კი შევახსენებ: რომის იმპერიაში ყველაზე ბრძოლისუნარიან და მოწინააღმდეგისთვის საშიშ ლეგიონად, ყოველთვის ითვლებოდა „ვეტერანთა ლეგიონი“.

ოცნებამ უნდა იცოდეს ის, რომ პოლიტიკური ომების ვეტერანები, ის ვეტერანები, რომლებმაც ძალიან ბევრი პოლიტიკური ბატალია გამოიარეს, რომლებიც რეჟიმებს ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ, რომლებსაც არ ეშინოდათ, არასდროს უღალატიათ თავიანთი პრინციპებისთვის და, რაც უმთავრესია, სამშობლოსთვის, ისევ ფორმაში არიან და ნაცების კართაგენს უკვე საბოლოოდ დაანგრევენ.

VaeVictis – ვაი დამარცხებულთ!

რაც შეეხება ცხვრისტყავიან მგლებს, ნათლად ჩანს, რომ მათში იმდენად არის გამჯდარი ბოლმა მათზე უარის მთქმელი ქართველი ხალხის მიმართ, იმდენად არის გამჯდარი რევანშის სურვილი, რომ თავიანთ ვითომდა „მონანიებებშიც“ ვერ მალავენ ნამდვილ ბუნებას და ფაქტობრივად აღიარებით ჩვენებებს.

ერთ-ერთი ასეთი აღიარება, საქართველოს ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუქზე“ პირდაპირ ეთერში ჩართვისას უკანონოდ ნაყიდი და აშენებული სახლების ჩამორთმევის შესახებ კითხვის პასუხად განაცხადა:

„არა ვარ მე უკვე სახლების ჩამორთმევის ბიზნესში და ნუ დამაბრუნებთ იქ. მე თქვენ გეტყვით რატომ: ერთს რომ ჩამოართმევ, მერე ვეღარ ჩერდები და მერე კიდევ, კიდევ და მერე გადადის, რაღაც ვენდეტაში და შურისძიებაში.

თუ თქვენ გინდათ ვიღაცა ბოლშევიკი, რევოლუციონერი ან 2003 წლის ვერსიის სააკაშვილი, მე, სამწუხაროდ, უკვე აღარა ვარ. მჯერა კანონის უზენაესობის, რა თქმა უნდა უკანონო ქონება ასე არავის უნდა შერჩეს, მაგრამ არსებობს კანონის პროცედურები და ეს პროცედურები არის ხანგრძლივი, უნდა მოთმენა და ასე ხელაღებით არავის არაფერი არ უნდა ჩამოერთვას, ხელაღებით არავინ არ უნდა დაისაჯოს, ეს ასე არ ხდება. მე უკან ვერ გადავახვევ ისტორიას, მეც გამოვიცვალე, ბევრად უფრო დაწყნარებული ვარ და ბევრად მეტ ასპექტს ვხედავ ამ სიტუაციის, მაშინ ვიღაც თავგაცხელებული რევოლუციონერი უნდა ვიშოვოთ, რომელიც მე უკვე აღარა ვარ, ბევრი მიზეზის გამო ალბათ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

სასაცილოა, არა?

მე უკან ვერ გადავახვევ ისტორიას, მეც გამოვიცვალე, ბევრად უფრო დაწყნარებული ვარო.

არადა, ყველამ იცის, რომ სააკაშვილის დაწყნარებას ახლა უკვე თვით ავლიპ ზურაბაშვილიც ვეღარ შეძლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობიდან ამოვარდნილი მისი სექტა ისევ იმედით გასცქერის აეროპორტის გზას და მიHას ჩამოსვლას ელოდება.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და მოკლედ ვიტყვი, რომ აღარ უნდა ამას ბევრი „ბალალაიკა“.

ძალიან კარგად ჩანს, რომ „ოცნება“ მხოლოდ თავისი პარტაქტივის, იმ პარტაქტივის, რომლის გარკვეული ნაწილის გულებში უკვე სერიოზულად აფუთფუთდა ეჭვის ჭია, რომელიც საკმაოდ ომახიანად უყვირის, ვირო, ხომ გეუბნებოდი, რა გეჩქარებოდა ეს პორტირებაო, ის იმ ნამდვილი მეოცნებეების ამარა არის დარჩენილი, რომლებსაც საქართველოს ნორმალური განვითარება და მართლა წესიერი მომავლის აშენება უნდათ.

„ოცნებამ“ გადარჩენისთვის (და ეს გადარჩენა სულაც არ ეხება საპრეზიდენტო არჩევნებში სალომეს გაყვანას. ეს საზოგადოების მათდამი დამოკიდებულების რადიკალურ ცვლილებებს ნიშნავს) ახლა მხოლოდ ქუდზე კაცი კი არ უნდა გამოაცხადოს, არამედ სერიოზული მოლაპარაკებები დაიწყოს „პატრიოტთა ალიანსთან“, მხარი დაუჭიროს პატრიოტების რეზოლუციის პროექტს, რომლის განხილვა 12 ნოემბერს არის ჩანიშნული და სააკაშვილბოკერიას რეჟიმი დამნაშავედ გამოაცხადოს, რაც ამომრჩევლისთვის მეტად საჭირო გზავნილი იქნება.

ახლა არ დამიწყოთ ესაო, ისაო, ოპონენტებზე ზეწოლაში ჩაგვეთვლებაო, კაპიტანი გიგაური და სალაძე სულ ქოშებს აჰყრიანო. კანდელაკი ევროპაში გვიჩივლებსო, და სხვა მსგავსი ფოკუსები.

იმოქმედეთ ისე, როგორც წესია. იმოქმედეთ ისე, როგორც მმართველ ძალას ეკადრება. იმოქმედეთ ისე, როგორც მკვლელებთან და მოძალადეებთან მებრძოლი ხალხი იმოქმედებს და ნუ გეშინიათ. ხალხი ყოველთვის იმათ გვერდით დგას, ვინც მოქმედებს

დაბოლოს, კიდევ ერთი მორიგი სისულელე. ტელეკომპანია „იმედმა“ გამოაცხადა, რომ საგანგებო რეჟიმზე გადავიდა.

გუშინწინ კი ისეთი „საგანგებო გადაცემა“ გაუშვეს, რომ მაყურებელს მთელი ღამე სულ ჯოჯოები ესიზმრებოდა. ალბათ, მალე სტუდიაში ვოლდემორდი და კუდიანი დედაბერიც შემოფრინდებიან და მათი წყალობით ვაშაძეს ულვაში მოძვრება.

აი „მაესტროზე“ სპაიდერმენი და ქალი კატა თუ გაიჩითნენ, მაშინ „ვსიო“, ნაცებს საბოლოოდ დაერხვავთ.

საქმეს მიხედე „ოცნებავ“, საქმეს და ყველაფერი კარგად იქნება.

წერილს კი დავამთავრებ ფრაზით გიორგი დანელიას შესანიშნავი ფილმიდან „მიმინო“: □лущай, когда мне будет приятно, я так довезу, что тебе тоже будет приятно.

გია გაბრიჭიძე

იგორ გიორგაძე: სააკაშვილის დედა ჩვენს აგენტად მუშაობდა, ბიძამისი თემურ ალასანიაც

საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე რუსული ტელეკომპანია „НТВ“-ს ეთერში აცხადებს, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია უშიშროების სამინისტროს აგენტი იყო. მის შესახებ მან რუსული ტელეკომპანია „НТВ“-ს პროგრამა „Новые русские сенсаций“-ში საუბრისას განაცხადა:

„საერთოდ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი სპეცსამსახურებთან ტრადიციულად თანამშრომლობდა. დედამისი გიული ალასანია, მიხეილ სააკაშვილის დედა ჩვენს აგენტად მუშაობდა, ბიძამისი თემურ ალასანიაც, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ასევე საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის) აგენტი იყო“, – განაცხადა გიორგაძემ.

◎ წკეპლიკა

კმარა კეკლუცობა!

ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ბრძანებდნენ: „ვინც დამნაშავეს არ სჯის, ის უფრო დამნაშავეა“. კმარა მშვიდობისმყოფლობით კეკლუცობა მკვლელებთან!

ასევე დანაშაულია მარიხუანის წარმოების სარგებლიანობის საკითხის დაყენება .

ამას „ქართული ოცნების“ და ბიძია ივანიშვილის გასაგონად ვამბობ!

ლონდა მდივანი

სამეგრელომ სიკეთისკენ უნდა იბრუნოს პირი!

„მოყვარეს პირში უძრახე“!

ზუგდიდი საქართველოს იმ მუნიციპალიტეტებს შორისაა, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ მწარე დამარცხება განიცადა საპარლამენტო არჩევნებში და შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ ამაში მაინცდამაინც გასაკვირი არაფერი არ არის, რადგან ძალიან მძიმე შეცდომები დაუშვა საქართველოს ცენტრალურმა თუ ადგილობრივმა ხელისუფლებებმა.

ზუგდიდი ყოველთვის იყო და არის „ქართული ოცნებისთვის“ ერთგვარი „აქილევსის ქუსლი“, რადგან აქ დღემდე ძლიერ აქვთ ფესვი გადგმული მოძალადე „ნაცებს“. არა და, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდანვე „ქართული ოცნების“ უნიათობამ და სიტუაციის შეუფასებლობამ ზუგდიდში მისი ერთგული მხარდამჭერების გულისწყრომა და გულისტკენა გამოიწვია, რადგან ისინი უმალვე მივიწყებულნი და იგნორირებულნი იქნენ. რა თქმა უნდა, ამას უმადურობა ჰქვია და სწორედ ასეთმა უმადურობამ მრავალი მხარდამჭერი დააკარგვინა „ქართულ ოცნებას“.

მმართველი პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარედ დანიშნეს პიროვნება, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს საერთოდ არ გამოჩენილა ზუგდიდში და არც არავის უნახავს! უფრო მეტიც, თურმე „ნაცების“ აქტივისტიც ყოფილა. ეს პიროვნება – ლაშა გოგია მერე ზუგდიდის მერიც გახდა, მაგრამ ამ თვენახევრის წინათ მოუხდა თანამდებობის დატოვება ტელევიზიაში გასული სკანდალური აუდიოჩანაწერის გამო, თუმცა მას შეუნარჩუნდა პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარეობა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელადაც დაინიშნა. ყოველივე ამის გამო ბევრმა ზუგდიდელმა მასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა! ლაშა გოგია სასწრაფოდ მოსაშორებელია საარჩევნო კამპანიას და მის ადგილზე ღირსეული პიროვნება უნდა დაინიშნოს, რათა მეორე ტურში სასურველი შედეგი მივიღოთ.

ზუგდიდში 60000-მდე დევნილი ცხოვრობს და არჩევნების ბედს მეტ-ნაკლებად წყვეტდა ის, თუ ვის მხარეს იჭერდნენ დევნილები. მიხეილ სააკაშვილის რეჟიმიდან მოყოლებული დევნილები მხარს უჭერდნენ და უჭერენ „ნაციონალურ მოძრაობას“. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა მათი მხარდაჭერის და თანადგომის მოპოვება და ამის უმთავრესი მიზეზი საკადრო პოლიტიკაა. მრავალჯერ მითქვამს და ჩვენს გაზეთშიც გამომიქვეყნებია, რომ ზუგდიდში მიხეილ სააკაშვილის მიერ შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა იყო და არის „ნაცმოძრაობის ბუდე“. არც მის ხელმძღვანელს და არც თანამშრომლებს არანაირი ავტორიტეტი არ გააჩნიათ დევნილებში, ხოლო ბატონი ვახტანგ ყოლბაია, რომელიც 5 წელზე მეტია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია, ამ და სხვა პრობლემების მოგვარებით, საერთოდ არ დაინტერესებულა.

მეორე ტურის წინ „ქართულმა ოცნებამ“ აუცილებლად უნდა მიხედოს ამ პრობლემას და დევნილებთან ურთიერთობა უნდა მიანდოს ისეთ პიროვნებებს, რომლებსაც გააჩნიათ ავტორიტეტი, ღირსება და თავისუფლად მიესვლებათ დევნილებთან. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ მრავლად არიან ზუგდიდში.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

რედაქციისგან: **იქნებ ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ გვიპასუხოს, ზუგდიდის რაიონში მცხოვრები დევნილების უმრავლესობა რატომ არის საკაშვილის მოძალადე რეჟიმის მხარდამჭერი?!**

„მედიამუზეუმის“ ექსპონატების გამოფენა ზუგდიდში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა „არტ-გალერეაში“ „მედიამუზეუმის“ ექსპონატების გამოფენა გამართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო 160-ზე მეტი დასახელების ბეჭდური მედიასაშუალება, მათ შორის, ჟურნალისტების საავტორო წიგნები, ჟურნალ-გაზეთების მატიანეები, პოლიგრაფია, ასევე, მოსაწვევი ბარათები, ქების სიგელები, უხმო ვიდეოაპარატი, საბეჭდი მანქანა, ფაქსი და სხვ.

გამოფენა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილემ ნინო ვიბლიანმა და გუბერნატორის აპარატის თანამშრომლებმა დაათვალიერეს. გამოფენილი ექსპონატები ენობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა (მეგრული, ქართული, სვანური, აფხაზური, რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური).

გამოფენაზე ღვაწლმოსილი ჟურნალისტების შესახებ დოკუმენტური მასალა იყო წარმოდგენილი. სიტყვით გამომსვლელებმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროცესებში მათი როლის შესახებ ისაუბრეს.

„გამოფენაზე როგორც მედიის, ისე მთელი ქვეყნის ისტორიაა წარმოჩენილი. წარმომიდგენია, სხვადასხვა დროს, რაოდენ დიდ შრომას გაწევდნენ ჩვენი ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, რომელთაც სიტყვის თავისუფლება ეზღუდებოდათ და ხშირად მსხვერპლის გაღებაც კი უწევდათ. დღეს, როგორც არასდროს, მედია თავისუფალია და უნდა გავუფრთხილდეთ ამას,“ – განაცხადა ნინო ვიბლიანმა.

„მედიამუზეუმს“ ადგილობრივი მედიის, კულტურისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ.

ჩემი კუთხის მცხოვრებთა საყურადღებოდ!

მე ყოველთვის მეამაყებოდა სამეგრელოდან გამოსული, ეროვნული საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა მოღვაწეობა, რომელთა სახელები საყოველთაოდაა ცნობილი – არნოლდ ჩიქობავამ და ვარლამ თოფურიამ დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ენის განვითარებასა და დახვეწაში, კონსტანტინე გამსახურდია კი მსოფლიო მასშტაბითაც ცნობილი მწერალია. ცალკეული დარგის თვალსაჩინო სპეციალისტების ჩამოთვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანს.

იყო დრო, როცა რუსიფიკატორებს სურდათ, სამეგრელო დედასამშობლოსთვის ჩამოეშორებინათ. რას არ იგონებდნენ იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ, მეგრელები ცალკე ერიაო! მათთვის სახარებაც კი გადათარგმნეს მეგრულ ენაზე, რათა წირვა ადგილობრივ მცხოვრებლებს მეგრულ ენაზე წარემართათ. მეგრელები დაგებულ მახეში არ გაებნენ და არაკეთილმოსურნეთა მზაკვრულ ჩანაფიქრს ზურგი შეაქციეს.

სამეგრელომ ქართველთა ერთ ერად ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა. იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ დამოუკიდებელი (1918-21 წ.წ.), ნაციონალური დემოკრატიული საქართველოს მედროშეების ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ სამეგრელოდან გამოსული ადამიანები. საერთოდ, კი მეგრელები ყოველთვის ქართულ სივრცეში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეროვნული მოძრაობის სათავეში იყვნენ.

ჩემში დიდი აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მეგრელთა უმრავლესობამ ხმა მისცა ქვეყნის დამაქცევარი სააკაშვილის პრეზიდენტობის კანდიდატს – გრიგოლ ვაშაძეს. ამას პარადოქსულ შემთხვევად მივიჩნევ. ამასთან დაკავშირებით მეგრელებს მოვუწოდებ ამ დიდი შეცდომის გამოსწორებისაკენ. იმედი მაქვს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ჩემი კუთხის მცხოვრებთა უმრავლესობა ხმას მისცემს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს.

გივი ჯაბუა,
მწერალი

ზუგდიდსა და მარნეულში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების ორ ცენტრს აკრედიტაცია შეუჩერდა

ეს გადაწყვეტილება აკრედიტაციის ცენტრში წერილობითი მიმართვების საფუძველზე გადამოწმების შემდეგ აღმოჩენილი შეუსაბამობების გამო იქნა მიღებული.

2018 წლის 30 ოქტომბერს აკრედიტაციის ცენტრში გაიმართა ცენტრის კომიტეტის სხდომა, სადაც განხილული იყო პტი-პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებში აღმოჩენილი შეუსაბამობები. საკითხის განხილვის პროცესში გამოკვეთილი გარემოებების გამო კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო, ქალაქ ზუგდიდსა და ქალაქ მარნეულში მდებარე ინსპექტირების ცენტრებისთვის აკრედიტაციის შეჩერების თაობაზე.

კერძოდ: ზუგდიდში (პუშკინის ქ. 102) მდებარე შპს „ტრანს ჯგუფი“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს სრულად შეუჩერდა აკრედიტაცია (M2, M3, N2, N3, O3, O4 – კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება (ერთი HV ხაზი); M2, M3, N2, N3, O3, O4– კატეგორიების გადაკეთებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების ტესტირება); მარნეულში, აეროდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ შპს „ტექ 2017“ A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს კი აკრედიტაცია შეუჩერდა 8-დან ორი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე (N2, N3, კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება).

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებმა, რომელთაც სრულად შეუჩერდათ აკრედიტაცია ან შეუმცირდათ სამოქმედო სფერო, უნდა აღმოფხვრან შეუსაბამობები და გაიარონ ხელახალი აკრედიტაცია 3 თვის შემდეგ.

სხვისი მაზიარებელი



რაოდენ **დაუჯერებელიც უნდა იყოს, ჩვენს გაუდაბურებულ სინამდვილეშიც არსებობენ ამ პიროვნული ბუნების, ეთიკური მრწამსის, ცხოვრების წესის მიმდევარი ადამიანები: სხვისი მაზიარებელნი უმეტესწილად — თუ მთლადაც არა — უზიარებელნი რომ რჩებიან ხოლმე.**

არსებობენ დაკარგული კეთილი დროის „გადმონაშთებად“.

არსებობენ რომანტიკული სულის გამოვლინებებად.

არსებობენ იმედად, რომ ისე გადაწურულადაც არ არის საქმე და თვითრეკლამის, თვითგანდიდების, ლიტერატურული ოინბაზობების გარემოშიც შეიძლება გადააწყდე კეთილშობილური სულის უწყვეტობის შემანარჩუნებელთ, თავიანთ მწერლურ მოვალეობას ისე ბუნებრივად და უბრალოდ რომ აღასრულებენ, თითქოსდა რაღაც განსაკუთრებულს არას სჩადიოდნენ.

რომანტიკული სულის გამოვლინებად თუ ვინმე, **გიორგი ლობჟანიძეც** უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ, და უჩვეულოდ მოინიშნავდა მას გუნებაში ჩვენს ლიტერატურულ პროცესებში გარკვეული ყოველი მკითხველი, **ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზეც** მნიშვნელოვან როლს რომ შეასრულებდა.

არამარტო წინამოსამზადებელი სამუშაოებისას გაითვალისწინებდა მის რჩევებსა თუ შეთავაზებებს **ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი,** იქაც, ფრანკფურტშიც იმ სასიკეთოდ წარმართული პროცესების შუაგულში იტრიალებდა — აშკარად თუ შეფარულად.

გამორჩეული მნიშვნელობა მიენიჭებოდა მის მიერ შედგენილ ანთოლოგიური ყაიდის კრებულს **„ქართველთა გული... პოეზიით არის ინფიცირებული“,** რომელშიც **33 თანამედროვე ქართველი პოეტის — ბექა ახალაია, გივი ალხაზიშვილი, დიანა ანფიმიადი, ეკა ბაქრაძე, დალილა ბედიანიძე, ვასილ ბესელია, ზაზა ბიბილაშვილი, ტარიელ ჭანტურია, მანანა ჩიტიშვილი, მიშო დადიანი, ბათუ დანელია, ნინო დარბაისელი, ნაირა გელაშვილი, რეზო გეთიაშვილი, ელა გოჩიაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, კატო ჯავახიშვილი, ზურა ჯიშკარიანი, რუსუდან კაიშური, ეკა ქევანიშვილი, ზაზა კოშკაძე, სოსო მეშველიანი, ზვიად რატიანი, დავით რობაქიძე, ლელა სამნიაშვილი, მაია სარიშვილი, პაატა შამუგია, გიორგი შონია, ეთერ თათარაიძე, თეა თოფურია, დავით წერედიანი, ომარ თურმანაული და გიორგი ლობჟანიძე** — ორ-ორი ლექსის გერმანული თარგმანები მოიყრიდა თავს და შექმნიდა გარკვეულ შთაბეჭდილებას, საკმაოდ კანთიელს, თუ რა ძვრები და მიმოქცევანი ტრიალებს ამჟამად ჩვენს პოეტურ აზროვნებაში.

პწკარედს მოამზადებდა **ნანა ჭიღლაძე,** პოეტურად კი გარდათქვამდა **ზაბინე შიფერერი** — პოეტი, მთარგმნელი და მსახიობი.

თავიდან გაცილებით მოზრდილ კრებულს შეადგენდა, 60-ზე მეტი პოეტიც რომ შეიკრიბებოდა, მაგრამ გამომცემლობა „გროსენვანი“ შეკვეცას მოსთხოვდა იმ მოტივით:

ამ ტიპის სომხური და აზერბაიჯანული კრებულები 22-22 პოეტს მოიცავენ და უხერხული იქნება, ქართული წიგნი სამჯერ აღემატებოდეს იმ გამოცემებს მოცულობითო.

გიორგი ლობჟანიძე ძალიან იცოტავებდა 22 ქართველ პოეტს, მაგრამ გამომცემელიც თავისაზე იდგებოდა ჯიუტად, და ამიტომაც ეს გონებამახვილური ხერხი გამოიძებნებოდა:

რაკიღა ქართულ ანბანში 33 ასოა, მისი პატივისცემით ეგებ პოეტთა რაოდენობა 33-მდე ავიდესო.

იქ სიტყვასაც გადაუკრავდა, რომ ქართული ანბანის პირვანდელ სახეობაში — ასომთავრულში — სულაც 38-მდე ადიოდა ასონიშნები, მაგრამ გერმანელი გამომცემელი აქამდე აღარ გაჰყვებოდა და ვერც მოსთხოვდი, კაცმა რომ თქვას, ერთბაშად განმსჭვალულიყო მეფე ფარნავაზის ანბანოლოგიური ღვაწლის აღიარებით.

მიმოხილვითი ყაიდის შესავალი სტატია და ბოლოთქმა შემდგენლისა, არსებითად რომ განსაზღვრავდა თანადროული ქართული პოეზიის ზოგად ტენდენციებსა თუ მიდრეკილებებს, იმ რანგისა იქნებოდა, რასაც ყოველთვის მოველით გიორგი ლობჟანიძისაგან — როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის, მკვლევარის და ესეისტისაგან — და ნამდვილ გზამკვლევადაც ამიტომ გამოადგებოდა გერმანულენოვან მკითხველს.

ფესტივალზე გაიმართებოდა არამარტო ამ კრებულის წარდგინება, არამედ არაერთ პოეტს უშუალოდ ამ ანთოლოგიაზე დაყრდნობით გაუმართავდნენ ცალკეულ შეხვედრებსაც, ასე რომ, გიორგი ლობჟანიძე არამარტო „ქართველთა გულის“ პრეზენტაციისას იქნებოდა მთავარი გმირი, არამარტო ოთარ ჩხეიძესა თუ გურამ დოჩანაშვილისადმი მიძღვნილ წარდგინებაზე გამოვიდოდა საგულისხმო სიტყვით, არამედ იდუმალად განსაზღვრავდა ფესტივალის ერთ ნაკადს, ანთოლოგიის თავისებურ გამოსხივებებს.

კიდევ კარგი მასთან შეხვედრაც გაიმართებოდა ცალკე, და ეს — **მედეა მეტრეველის** თავგამოდებით, თორემ გიორგი ლობჟანიძე ამჯერადაც „უზიარებელი“ შეიძლება დარჩენილიყო.

თუ რაიმეზე დამწყდებოდა გული, ამ შეხვედრაზე დასწრება რომ არ მომიწევდა: სწორედ მაშინ მომიხდებოდა გამომგზავრება.

და აღარ მომეცემოდა საშუალება ორიოდე სიტყვა მეც მეთქვა მის პოეზიაზე, რომელიც თავისებურ ნიშანსვეტად მოჩანს ჩვენი ლიტერატურის მდინარეობაში და უკიდურესი სიმძაფრითა და გადახსნილობით, ჭეშმარიტი მწერლური ხელოვნებით აირეკლავს მარადიულსაც და ჩვენი ყოფის იდუმალ დუღილსაც, გულს რომ ამოგიბრუნებს ყველაზე ფარულ ნერვზე შეხებითაც.

სანიმუშოდ მოვიხმობდი **„არაბულის მასწავლებელს“, აპოკალიფსური ხილვით განმსჭვალულ ლექსს, იმ უკიდურესობას რომ აღწევს ადამიანური სულის ყველაზე ბნელ კუნჭულებში შეღწევის ჟინით, ტომას სტერნზ ელიოტის პოემიდან რომ დაგვმახსოვრებია: „ბერწი მიწა“.**

კიდევ სხვა არაერთი პოეტური ნიმუშიდანაც, მაგრამ ელიოტის ეს ქრესტომათიული ქმნილება იმიტომაც შეიძლება წამოგვაგონდეს უპირველესად, „არაბულის მასწავლებელი“ მას გარეგნული იერითაც რომ ჩამოჰგავს — აღნაგობის იმ თავისებურებით, მოხდენილად რომ ერწყმის ლირიკული გმირის მღელვარე განცდებს ციტატები კაცობრიობის მარადიულ მონაპოვართაგან. ბევრ ქმნილებას გადაწვდებოდა ანგლო-ამერიკელი პოეტი, ბევრ ასოციაციასაც გამოიხმობდა, გიორგი ლობჟანიძე მარტოდენ ყურანს რომ იკმარებდა, მაგრამ აქ მთავარი ზოგადი სტრუქტურაა, ტიპოლოგიურად მსგავსი, და ამიტომაც არის „არაბულის მასწავლებელი“ ასეთი თვითმყოფადი და ქართულ სულიერებაში ჩაფესვილი, ესქატოლოგიურ ხილვებთანაც ერთგვარი გადაძახილის ნიმუშიც.

სანიმუშოდ მოვიხმობდი **ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი** მიძღვნილ ლექსსაც — **„იყო ჩვენთან“** — თანამედროვეთა მემუარებში მიკარგული ცნობა არამარტო ეპიგრაფად რომ წაემძღვარებოდა, არამედ ლექსის სულისკვეთებასა და ზნეობრივ მრწამსსაც განსაზღვრავდა: ბარათაშვილი კარზე აკაკუნებს და... გაღებით კი არ უღებენ!..

თუ ვინმე უყვარდათ გარშემომყოფთ, უთუოდ ტატოც, ბევრისათვის იმ ყმაწვილადაც რომ წარმოდგებოდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ, მაგრამ საქართველოს ტრაგედიით გამოწვეული გულის მდუღარება როგორმე რომ გაენელებინა და წამდაუწუმაც არ აქვითინებულიყო დაკარგული სახელმწიფოებრიობის შემყურე, კომიკური საქციელით იოხებდა ხოლმე გულს, ცოტა ჭორაობითაც, ცოტა გამომწვევი და დამცინავი ლაპარაკითაც, დროდადრო რომ უფრთხოდნენ მისი მოყვარული ადამიანებიც...

მაგრამ გიორგი ლობჟანიძე იმ ცნობას სულ სხვა გადმოსახედიდან დაინახავდა, სხვაგვარად გაიაზრებდა და პოეტის ტრაგიკულ ბედისწერად განაზოგადებდა.

დარეკეთ და გაგეღებათო, — შეგვაგონებს იესო მაცხოვარი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი აკაკუნებდა, აბრახუნებდა, რეკავდა, მაგრამ... კარი კვლავინდებურად დახშული რჩებოდა.

გამზადებული სიუჟეტური ქარგაა ბიოგრაფიული რომანისთვის — კომპოზიციური ჩარჩოთი, ფორმით, სულისკვეთებით, განწყობილებით, მხატვრულიდეური მრწამსით...

და **უილიამ ფოლკნერის** კვალობაზე შეიძლება შეგეხარბოს პოეტებისა, რომელნიც მცირე ფორმაში ახერხებენ იმას, რასაც ვეება რომანი ესაჭიროება სრულყოფილი წარმოჩენისთვის.

სანიმუშოდ მოვიხმობდი კიდევ...

თუმც ამდენს ვიღა მალაპარაკებდა და მოდერატორი თავაზიანად შემახსენებდა, რომ ჩემი დროისათვის უკვე ისედაც გადამეჭარბებინა.

და იმის თქმასღა მოვასწრებდი, რომ:

ასეთი პიროვნებანი უნდა იყვნენ ქართული კულტურის დესპანები.

ასეთი პიროვნებანი უნდა იყვნენ ჩვენი სახელმწიფოს ელჩები.

...როგორც ყური მოვკარი, სულ მალე საქართველოს ელჩის სტატუსი გიორგი ლობჟანიძისთვის შესაძლოა მთლად მეტაფორაც აღარ იყოს!..

როსტომ ჩხეიძე

◎ აღზრდა

დაწყნარდი დედიკო, მეტს აღარ ვიზამ!

ბავშვები ცხოვრების მშვენება და სიცოცხლის გვირგვინები კი არიან, თუმცა ამ „ყვავილებს“ ზოგჯერ ისეთი რამის ჩადენა შეუძლიათ, ჭერზე ერთი კედლით რომ ახვალ, მეორეთი ჩამოხვალ... ჰოდა, ისმის მარადიული კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს? ხშირად შვილს მშობელი იმ ზომამდე მიჰყავს, რომ ყოველგვარი იუვენალური სამართლის მიუხედავად, ადამიანს ერთი სული აქვს პირმშოს გვარიანად მისცხოს, ან უყვიროს მაინც. არადა, ყველაფრის მიუხედავად, თავის შეკავება მაინც აუცილებელია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფიზიკური დასჯა ბავშვის ფსიქიკას აზიანებს, ასევე მოქმედებს ფსიქოლოგიური, ემოციური ძალადობაც. მორალური დათრგუნვა ბავშვს საკუთარი ძალების რწმენას აკარგვინებს და უახლოესი ადამიანებისადმი უნდობლობას უჩენს, ხოლო თუკი ბავშვი ზედმეტად მგრძნობიარეა, დედის ისტერიკას მისი იმუნიტეტისა და ჯანმრთელობის დაზიანებაც კი შეუძლია! თანაც ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ არც ცემა, არც დაშინება და ლანძღვა, სულაც არ არის აღზრდის ეფექტიანი მეთოდები. მართალია, ამ გზით ბავშვის დაშინება შეიძლება, მაგრამ ყოფაქცევის გამოსწორება კი, არა. მაშ, რა აზრი აქვს ტყუილად ყვირილს?!

არადა, ისიცაა, რომ „მშობელიც ადამიანია“ და ხშირად იმ მარტივი მიზეზით ყვირის, რომ თავადაც ვერ თოკავს საკუთარ ნერვებს. ამიტომაც ფსიქოლოგები გვირჩევენ: თუკი თქვენს შვილში რაღაც არ მოგწონთ, ჯერ საკუთარი თავით დაიწყეთ. ყოველ შემთხვევაში, ისწავლეთ საკუთარი ემოციების გაკონტროლება. ეს იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სხვა შემთხვევაში ბავშვები პატივს აღარ გცემენ. თავდაპირველად საჭიროა საკუთარი გაღიზიანების მიზეზებში გარკვევა და მათი გაუვნებელყოფა. ამისათვის კი საჭიროა თავის მიხედვა და არსებული პრობლემების გადაჭრა, ხოლო თუკი თავის შეკავება მაინც გიჭირთ, მაშინ საკუთარ შვილს ნუ გალანძღავთ მაინც, რაც მას თანატოლებთან თავს დამცირებულად აგრძნობინებს!

ბავშვმა მუდამ უნდა იცოდეს, რომ იგი თქვენთვის ყველაზე კარგია და მაშინაც კი გიყვართ, როცა რაღაც დააშავა. გაკიცხეთ არა თავად ბავშვი, არამედ მისი საქციელი და ილაპარაკეთ არა პირადად მასზე, არამედ მის ცუდ საქციელთან დაკავშირებულ განცდებზე.

ლალი ხუნდაძე

ვინც არ უნდა იქნეს არჩეული საქართველოს პრეზიდენტად, ქვეყანა დასავლურ ვექტორს არ შეცვლის

„საქართველო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინაშე დგას. ორ კანდიდატს შორის რაიმე არსებითი იდეოლოგიური განსხვავება არ არის: ორივეს დღის წესრიგში დასავლეთთან ინტეგრაცია ფიგურირებს“, — ასე იწყება შვედური გამოცემის, „Dagens Nyheter“-ის მიერ ანა-ლენა ლაურენის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან, მცირედ შემოკლებულ ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

დღეისთვის ერთი რამ სრულიად ნათელია: საქართველოში არჩევნები უკვე აღარ განსაზღვრავს იმას, შეიცვლება თუ არა პროდასავლური პოლიტიკური კურსი პრორუსულად. უკვე ათი წელია, რაც ქართულ პოლიტიკურ წრეებში ერთობლივი პოზიცია ჩამოყალიბდა, რომ ქვეყნისათვის ყველაზე აქტუალური და სასარგებლო — ეს დასავლეთისკენ მიმავალი გზაა. ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაცია მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის ორივე კანდიდატისთვის — სალომე ზურაბიშვილისა და გრიგოლ ვაშაძისათვის — მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ორივე საგარეო საქმეთა ექს-მინისტრები არიან, ორივე ლიბერალია და დასავლეთისაკენ იხედებიან.

ორივე კანდიდატს საინტერესო წარსული აქვთ: სალომე ზურაბიშვილს საფრანგეთში კარგი დიპლომატიური კარიერა ელოდებოდა, რომ მოულოდნელად 2004 წელს იგი მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მას ქართველი მშობლები ჰყავს, მაგრამ საფრანგეთშია დაბადებულ-გაზრდილი, ისტორიულ სამშობლოში კი პირველად მხოლოდ 30 წლის წინათ ჩავიდა.

რაც შეეხება გრიგოლ ვაშაძეს, მან საბჭოური დიპლომატიური განათლება მიიღო და როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი, აშშ-საბჭოთა კავშირს შორის სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემცირების პირველ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა. 1990-იან წლებში იგი ბიზნესით იყო დაკავებული და ძირითადად მოსკოვსა და ნიუ-იორკში ცხოვრობდა. მას ორმაგი — რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდა. 2009 წელს გრიგოლ ვაშაძემ, საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის პერიოდში, რუსეთის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა.

თავის მხრივ, სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქე იყო, რომელიც სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების წინ დატოვა. ზოგჯერ მას დასცინიან — ლაპარაკის დროს ემჩნევა, რომ ქართული ენა მისთვის მშობლიური ენა არ არის, თუმცა ეს გარემოება სალომეს მაინცდამაინც ხელს არ უშლის. იგი კარგად იყენებს საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტის იმიჯს, ფრანგულ ელეგანტობასთან ერთად. სალომე ზურაბიშვილმა პირველი ტური მცირე სხვაობით მოიგო — მან ხმების 38,6% მოაგროვა, გრიგოლ ვაშაძემ კი — 37,7%.

ორ კანდიდატს შორის დიდი განსხვავებაა იმაში, თუ ვინ უჭერს მათ მხარს. გრიგოლ ვაშაძეს ახლო ურთიერთობა აქვს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც ქვეყნის მეთაურად ყოფნის პერიოდში ღრმა რეფორმები განახორციელა. გრიგოლ ვაშაძე მიხეილ სააკაშვილის პარტიას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს. თავის მხრივ, სალომე ზურაბიშვილი ფორმალურად უპარტიოა, თუმცა მას მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილი — საქართველოს უმდიდრესი ადამიანი და პარტია „ქართული ოცნება“, რომელსაც თვითონ მილიარდერი ხელმძღვანელობს. სხვათა შორის, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაცმოძრაობა“ დაამარცხა. ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა საქართველო დატოვა. ამჟამად იგი ძებნაშია, მას ბრალი ედება თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში, პრეზიდენტად ყოფნის დროს.

გრიგოლ ვაშაძე თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში თავისუფლად დაბრუნების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. სალომე ზურაბიშვილის აზრით კი, ექს-პრეზიდენტმა პასუხი უნდა აგოს რუსეთის არმიის შემოჭრაზე საქართველოში (2008 წლის აგვისტოში) და ამიტომ არ ეთანხმება მისი ამნისტიის ვერსიას. დღეს საქართველოში მიხეილ სააკაშვილს ბევრი ან გმირად თვლის, ან არამზადად მიიჩნევს. საერთოდ კი, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იგი უახლოეს ხანში საქართველოში დაბრუნებას გადაწყვეტს.

საქართველო პრეზიდენტს პირდაპირი ხმის მიცემით ბოლოჯერ ირჩევს. დღეს მისი როლი სიმბოლურია, რადგან პოლიტიკურ ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრი ფლობს. ექვსი წლის შემდეგ მომდევნო პრეზიდენტს უკვე ამომრჩეველთა კოლეგია აირჩევს.

საქართველო სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად ითვლება და საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, არჩევნების პირველი ტური დემოკრატიული პრინციპების დაცვით ჩატარდა. ეუთომ ქართული არჩევნები შეაქო და აღნიშნა, რომ ხმის მიცემა თავისუფლად და ღიად განხორციელდა.

„DAGENS NYHETER“ (შვედეთი)

„Dagens Nyheter“ — შვედეთის უდიდესი ყოველდღიური გაზეთი, დაარსებულია 1864 წლის დეკემბერში. იბეჭდება სტოკჰოლმში. ტირაჟი - 270 ათასი ეგზ.

◎ იშვიათი მაგალითი

შუა აზია — თვითკმარი რეგიონი

ყაზახეთი თავის გარშემო „განვითარების სარტყელს“ ქმნის

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ახალი პროგნოზი გამოაქვეყნა მსოფლიო ეკონომიკისა და ცალკეული გეოგრაფიული რეგიონების ზრდასთან დაკავშირებით. ცენტრალური (შუა) აზია ზოგად ფონზე საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება.

ფონდის ექსპერტების ოპტიმიზმი შუა აზიის რეგიონის მიმართ მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს ინვესტორებისა და მსხვილი საბაზრო მოთამაშეების განწყობების ცვლილებიდან. შუა აზია, ბოლოს და ბოლოს, წარმატებით ემშვიდობება დანაწევრებული და არაპროგნოზირებადი რეგიონის სტატუსს. თუკი ადრე ინვესტორები ძირითადად მხოლოდ ყაზახეთით ინტერესდებოდნენ, ახლა ისინი სხვა რესპუბლიკებთანაც ამყარებენ კავშირებს.

ყველაზე უფრო საინტერესო ჩემთვის, როგორც პოლიტოლოგისთვის, არის ფაქტი, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ოფიციალური ასტანის ხელშეწყობით. საქმე ის გახლავთ, რომ სახელმწიფო (ეროვნული) ეგოიზმის მაკიაველისტური პოლიტიკის პრინციპით, კონკრეტული სახელმწიფო მოწოდებულია განავრცოს საკუთარი გავლენა, განავითაროს საკუთარი ეკონომიკა და სახელმწიფოებრიობა, მაგრამ არასგზით თავისი მეზობლებისა. თავისი ქმედებებით ყაზახეთი ამსხვრევს ამ სტერეოტიპს და იძლევა, როგორც მინიმუმ, პოსტსაბჭოთა სივრცეზე, იშვიათ მაგალითს. ყაზახეთის წილზე ჯერ კიდევ მოდის შუა აზიაში ჩადებული მთლიანი ინვესტიციების 70%, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობა თავის პარტნიორ ინვესტორებთან მეზობელ სახელმწიფოებსაც უკეთებს რეკლამას. ყაზახეთის მეშვეობით და მისი გამოცდილების გამოყენებით, შუა აზიის სახელმწიფოები კავშირებს ამყარებენ და ხელს აწერენ კონტრაქტებს ევროპისა და სპარსეთის ყურის კომპანიებთან.

ყაზახეთი, რომელიც თავის გარშემო ამგვარად ქმნის „განვითარების სარტყელს“, თავადაც ასრულებს რეგიონში ინვესტორის როლს. ასტანა ახდენს შუა აზიის ქვეყნების განვითარების სტრატეგიისა და დახმარების პროგრამების სპონსორებას. და მაინც, რად უნდა ყაზახეთს თავისი მეზობლების კონკურენტუნარიანობის გაზრდა? ყაზახების მოტივი, მსოფლიოში ბევრისაგან განსხვავებით, ნათელია: მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობა, როგორც ყაზახეთში მიაჩნიათ, იძლევა საზღვრებზე სტაბილური და პროგნოზირებადი ვითარების გარანტიას, რეგიონს უქმნის დადებით იმიჯს მსოფლიო ბიზნეს-საზოგადოებრიობის თვალში და, ბოლოს, ხელს უწყობს წარმატებულ ვაჭრობას.

შუა აზიაში ვაჭრობის წარმოების შიდა რესურსები ძალუმია. რეგიონის ხუთი ქვეყნის საექსპორტო ნაწარმის ნომენკლატურის გათვალისწინებით, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ სურვილის შემთხვევაში, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი ერთმანეთს ყველა აუცილებელი პოზიციით მოამარაგებენ, იქნება ეს კვების პროდუქტები, ენერგოშემცველები, ტექსტილიები თუ ტექნიკა. ამ მხრივ შუა აზია არის სავსებით თვითკმარი რეგიონი.

ყაზახეთის საინტეგრაციო ინიციატივებზე საუბრისას საჭიროა ვიცოდეთ, რომ სწორედ ეს ინიციატივები გახდნენ ერთგვარი ძრავი, რომელმაც ხელი შეუწყო რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობასა და რეგიონის იმიჯის უკეთესობისკენ ცვლილებას.

ამჟამად ყაზახეთი ეკონომიკურად მყარად დგას ფეხზე. მისი ოქროსა და სავალუტო რეზერვების გამოხატულება დოლარის ეკვივალენტში 90 მილიარდს შეადგენს. შედარებისათვის: რუსეთი ამჟამად ფლობს არაუმეტეს 450 მილიარდი დოლარის ოქროსა და სავალუტო რეზერვებს, 145-მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანაში ეს 3 დოლარზე ოდნავ მეტია, თითო სულზე გადაანგარიშებით. 18-მილიონიანი ყაზახეთის ერთ სულ მოსახლეზე კი ოქრო-სავალუტო რეზერვების მთელი 5 დოლარი მოდის.

იყენებს რა სოლიდურ საერთაშორისო ავტორიტეტს, ყაზახეთი ცდილობს, აწ უკვე მთელი შუა აზიის რეგიონის ერთობლივი კონტაქტების დამყარებას კონტინენტის სხვა დიდ მოთამაშეებთან: რუსეთთან, ჩინეთთან და ევროკავშირთან. მათთან თანამშრომლობა შუა აზიას მისცემს საშუალებას, გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სატრანზიტო ჰაბი, რომლის გავლითაც, ერთიანი მარშრუტით, შეფერხებებისა და შემოწმებების გარეშე, გაივლის მსოფლიო ტვირთნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასევე ყაზახეთის ინიციატივით, შუა აზიის ქვეყნები გეგმავენ შექმნან თავიანთი ალტერნატიული შენგენის ზონა და შემოიღონ ერთიანი ვიზა — Silk viza. ამ იდეამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს რეგიონში ტურიზმით მიღებული შემოსავალი. ჯერჯერობით, ასეთი ვიზის შემოღებისათვის მზადყოფნა მხოლოდ ყაზახეთმა და უზბეკეთმა გამოთქვეს, ასტანა და ტაშკენტი მოლაპარაკებებს აწარმოებენ რეგიონის სხვა დედაქალაქებთან აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. რეგიონის პეიზაჟების მრავალფეროვნებიდან, მდიდარი ისტორიიდან და აქ მცხოვრები ხალხების უნიკალური თვითმყოფადობიდან გამომდინარე, რეგიონს აქვს ყველა შანსი საიმისოდ, რომ ტურიზმი გადააქციოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად შემოსავალ ნაწილად.

მთლიანობაში, შუა აზიას კარგი პერსპექტივები აქვს. სსფ-ის პროგნოზები საკმარისად დასაბუთებულია. მათი რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის ქვეყნებმა მხარი დაუჭირონ ინტეგრაციას და თავიანთ საგარეო პოლიტიკაში მეზობლებთან ურთიერთობები გახადონ პრიორიტეტად. ყაზახეთმა საკუთარ მაგალითზე დაამტკიცა, რამდენად მომგებიანი და პერსპექტიულია ამგვარი მიდგომა. ამჯერად უკვე ყაზახეთს, როგორც მძლავრ ლოკომოტივს, უნდა გაჰყვნენ შუა აზიის სხვა ქვეყნებიც.

გულბაათ რცხილაძე

ბრძოლა გადარჩენისთვის

სამადლობელი ალადაშვილის კლინიკის კარდიოლოგებს

ამ მორალურად გაღატაკებულ დედამიწას, ღმრთის წყალობით, ჰუმანურ პროფესიათა ერთგული მსახურები ჯერ კიდევ შემორჩენენ. ნამდვილად აღნიშვნის ღირსია, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა სამედიცინო პროგრამებმა ბევრ ადამიანს ჯანმრთელობა და სიცოცხლე გაუხანგრძლივა, მაგრამ არანაკლებ სასიხარულო და სანუგეშოა, რომ ჩვენ გვყავს ქართველი მედიკოსები, რომელნიც ჰიპოკრატესგან გადმოცემულ ზნეობრივ კოდექსს ადამიანების მიმართ თანაგრძნობითა და პროფესიული პატიოსნებით იცავენ.

ვისაც სამედიცინო დახმარება დასჭირვებია, ან სხვისთვის ხელი მოუმართავს, გამოცდილებით იცის, თუ რას ნიშნავს პაციენტისთვის ადამიანურად მოპყრობა; ამიტომ მოვინდომე, ამა წლის 23 ოქტომბერს ჩემ მიერ საავადმყოფოში განცდილი მკითხველისთვისაც გამეზიარებინა. მით უმეტეს, თემა უინტერესო არ უნდა გამოდგეს იმ თვალსაზრისით, რომ, სურვილის შემთხვევაშიც, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე ჟურნალისტური ჩანახატი ან რეპორტაჟი უშუალოდ მათი მონაწილეობის გარეშე ვერ შეიქმნება.

მოკლედ, როცა ჩემი ემოციური დატვირთვის ცენტრი მორიგ „ბოდვას“ შეუდგა (მოციმციმე არითმიას ასეთი სახელწოდებაც აქვს – გულის ბოდვა), მაშინვე ჩემს მკურნალ ექიმს, ბ-ნ შალვა პეტრიაშვილს კლინიკაში მივაკითხე. ეს დაწესებულება თბილისში დ. უზნაძის ქუჩაზე მდებარეობს. მისი სრული სახელია – შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა. ექიმმა შემიმოწმა თუ არა მაჯა, სასწრაფოდ კაბინეტიდან გამომიძღვა და ორ წუთში, იმავე პირველ სართულზე, ემერჯენსში, ანუ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში, აღმოვჩნდით. მორიგე ექიმთან მოკლე გასაუბრების შემდეგ მისაღებ პალატამდე მიმაცილეს და პროცედურებიც დაუყოვნებლივ დაიწყო.

კარდიოგრაფი, კათეტერი, საწვეთელა, მონიტორი – ყველა საჭირო მოწყობილობა ისე ოპერატიულად გამართეს ანამ, თეონამ და ნინომ, რომ მალე გარემოზე დაკვირვების საშუალებაც მომეცა. პალატა სამადგილიანია, უფანჯრო; გორგოლაჭებიანი საწოლების გარდა სივრცეს მხოლოდ სამედიცინო აღჭურვილობა ავსებს; დგას მაგიდა კომპიუტერით და ორი სკამი. ჩემ გვერდით, ფარდის იქით, პუტკუნა ხელებიანი პაციენტი წევს წყნარად; ეტყობა, კრიზისული მდგომარეობა გადალახული აქვს და მისაღებიდან გაყვანას ელის. მართლაც, მცირე ხნის შემდეგ საწოლიდან ფრთხილად გადმოიყვანეს და აუცილებელი ინსტრუქციის მიცემასთან ერთად გზა დაულოცეს.

მთელი ცხრა საათის განმავლობაში, სანამ არითმია მომეხსნებოდა, ეს იყო ხანმოკლე, დაახლოებით ნახევარსაათიანი პერიოდი, როცა მარტო დავრჩი და მორიგე კარდიოლოგთან, ბატონ ზურაბ დარსაველიძესთან გასაუბრება შევძელი. თუმცა, მისმა მორალურმა და პროფესიულმა შეხედულებებმა მთელ განყოფილებაზე შემიქმნა წარმოდგენა და მიმახვედრა, თუ რა ძალით გარდაქმნის ეს კოლექტივი სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს სტაბილურ ასპარეზად და ადამიანის არსებობისთვის აუცილებელ ნუგეშს უშურველად როგორ ნერგავს.

რეჟიმი მეტად დაძაბულია. ერთ განთავისუფლებულ ადგილზე მოკლე ხანში მეორე პაციენტი შემოჰყავთ. ბუნებრივია, თითოეულის მდგომარეობა სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. ყველა ექიმი და ყველა მათი თანაშემწე ისე სინქრონულად მოქმედებენ, რომ თვალწინ წინასწარ აწყობილი ცოცხალი მექანიზმი წარმოგიდგებათ. პროფილის მიხედვით, განყოფილების მთავარი ექიმის გარდა, სამ-სამი ექიმი მორიგეობს, მე ორ ცვლასთან მომიწია ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს თითოეულის მეთვალყურეობა პაციენტის ემოციას უნდა ამძაფრებდეს, ხდება პირიქით, კულტურული და სათუთი მოპყრობით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფებიც კი კონტაქტურები ხდებიან და თავიანთ ბედს ამ კეთილ მკურნალებს სასოებით ანდობენ.

არც ექთნების საქმე მოითხოვს ნაკლებ პასუხისმგებლობას. მაგალითად, ნინო ფიფია თავისი ორიგინალური ჟესტიკულაციითა და პროცედურების სწრაფად და, ამასთან, მოხდენილად წარმართვით ისე გხიბლავს, რომ საკუთარ განსაცდელზე ყურადღების გადატანის საშუალებას არ გაძლევს. ჩანს, რომ იგი ზურა ექიმის მამაშვილურ დარიგებასაც გულისხმიერებით ეკიდება, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისაა: იცოდე, მძიმე პაციენტთან მოგიწევს ახლა ურთიერთობა, მაგრამ რიდით მოეპყარი, თავი უცხოდ არ იგრძნოს, ანუგეშე; ჩვენი მთავარი მოვალეობა ხომ ადამიანისთვის სიცოცხლის შენარჩუნებაა, რასაც მისი სიყვარულის გარეშე ვერ შეძლებ!

უსიყვარულოდ, მოგეხსენებათ, არავითარი კეთილი საქმე არ აღესრულება. ჰოდა, ემერჯენსშიც სწორედ ეს იგრძნობა – ენით გამოუთქმელი მადლის ძალა, რომელსაც მისით აღვსილმა ადამიანებმა ღმრთის სახელი – სიყვარული – უწოდეს.

გმადლობთ, ალადაშვილის კლინიკის გულის მკურნალნო; გმადლობთ, ალკოჰოლით მოწამლული ჭიათურელი გოგიას, გაჯიუტებული სურენას, გზააბნეული ანას, ეკატერინე ბებიასა და ყველა იმ პაციენტის მაგივრადაც, რომელნიც სიცოცხლის დაბრუნებით გახარებულნი და დაბნეულნი ზოგჯერ თქვენთვის საკადრის მადლობასაც ვერ გეუბნებიან.

დიდი მადლობა კლინიკის მთავარ ექიმს, ბატონ თამაზ ჩხიკვაძეს, რომელმაც ასეთი შესანიშნავი და სამაგალითო მედიკოსთა კოლექტივის შემოკრება შეძლო.

ღმერთმა ყველას ხელი მოგიმართოთ. „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ ყოფილიყოს თქვენი შემწე, რათა სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვება მოგეპოვებინოთ.

„მორჩილი პაციენტი“,
ბერი გიორგი (რუხაძე).

როცა ჯანმრთელობა გვიმტყუნებს...

მიზეზები, რის გამოც ქართველი პაციენტები სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიდიან

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა იმ პაციენტთა რიცხვი, ვინც ცდილობს, მოიძიოს სახსრები და დახმარებისთვის მიმართოს უცხოელ ექიმებს და სამედიცინო დაწესებულებებს. განსაკუთრებით მაღალია გადინება თურქეთში, შემდეგ ადგილზეა გერმანია, საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნები. ნაკლებია მიმართვიანობა ისრაელში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მკურნალობის მაღალი ღირებულების გამო.

რატომ მიდიან ქართველი პაციენტები უცხოეთში სამკურნალოდ – ამ მიზეზების დასახელება „კომერსანტმა“ არდი დაზღვევის სამედიცინო დაზღვევის დირექტორს ეკა ერგემლიძეს სთხოვა.

მთავარი მიზეზი ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნაა

საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს დაავადების დიაგნოსტიკა. ხშირ შემთხვევაში ხდება დიაგნოზის არასწორად დასმა (მცდარი დიაგნოზი), ჰიპერდიაგნოსტიკა (რეალური სურათის გამწვავება), ან დიაგნოზის დასმის შეუძლებლობა. პრობლემას წარმოადგენს ლაბორატორიების მუშაობის ხარისხი. პაციენტს სისხლის საერთო ანალიზის გადამოწმებაც კი რამდენჯერმე უწევს, რომ არაფერი ვთქვათ მორფოლოგიურ კვლევებზე მძიმე შემთხვევებში, როცა საბოლოოდ მაინც საზღვარგარეთ ხდება ბიოლოგიური მასალის გადაგზავნა სწორი პასუხის მისაღებად. ინსტრუმენტულ კვლევებში პრობლემას წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები. ხშირია, როცა სამედიცინო დაწესებულება შეიძენს აპარატურას, თუმცა მათი გამოყენება ვერ ხერხდება შესაბამისი ცოდნის ან პრაქტიკის მქონე ექიმის არ არსებობის გამო. ვხვდებით პირიქით შემთხვევებს, ბევრი კვლევა, რომლებიც მრავალი წელია, დანერგილია განვითარებულ ქვეყნებში, არ ტარდება საქართველოში შესაბამისი აპარატურის არარსებობის გამო.

ექიმთა განათლების დონე

განვითარებულ ქვეყნებში სანამ მედიკოსი მიიღებს სრულუფლებიანი ექიმის სტატუსს, უწევს მრავალწლიანი საფეხურების გავლა და შემდეგ მუდმივად, ყოველწლიურად ვალდებულია, აიმაღლოს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით იმისათვის, რომ არ დაკარგოს ექიმის ლიცენზია. საქართველოში არ არსებობს ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების ბაზა და კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულება. ეს, რა თქმა უნდა, სისტემური პრობლემაა და სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, შექმნას შესაბამისი სისტემები, რათა დაცული იყოს როგორც პაციენტის, ისე ექიმის უფლებები. ახალგაზრდა ექიმები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ სასწავლებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ ბრუნდებიან საქართველოში, მუშაობისთვის ღირსეული პირობების არარსებობის გამო.

მკურნალობის თანამედროვე მეთოდები

განვითარებულ ქვეყნებში ექიმები მკურნალობენ არსებული გაიდლაინებით და პროტოკოლებით, რომლის გადახედვა და განახლება ხდება ყოველწლიურად.

წლების წინ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომაც შეიმუშავა მსგავსი პროტოკოლები გარკვეული რაოდენობის დაავადებების მკურნალობაზე, თუმცა მათ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. უმრავლესობის განახლებაც არ მომხდარა წლების მანძილზე. შესაბამისად ერთი და იმავე დიაგნოზს, სხვადასხვა ექიმი აბსოლუტურად სხვადასხვა მკურნალობის მეთოდით მიჰყვება და პაციენტი მხოლოდ გამართლებაზეა დამოკიდებული.

მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვა პირდაპირ კავშირშია ექიმთა განათლებასთან და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ჩართულობასთან, შემოიტანოს და დანერგოს ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები.

მედიკამენტების ხარისხი

ვისაც ჰქონია შეხება საზღვარგარეთ შეძენილ მედიკამენტებთან, ყველა ერთ ხმად აღიარებს მათ ეფექტურობას ქართულ ბაზარზე არსებულ მედიკამენტებთან შედარებით. ერთი და იმავე მწარმოებლის ერთი და იგივე მედიკამენტის ეფექტურობაც კი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სამწუხაროა, მაგრამ დღეს აბსოლუტურად არაკონტროლირებადია მედიკამენტის ხარისხი, მათი ტრანსპორტირების და შენახვის პირობების დაცვა, ფალსიფიცირებული პრეპარატები, ვარგისიანობის ვადები და ა.შ.

პაციენტზე ორიენტირებული ექიმი

ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობა და მკურნალობის დადებითი შედეგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პაციენტის ნდობაზე ექიმის მიმართ. ნდობას კი ექიმის დამოკიდებულება, ყურადღება და იმედიანი განწყობა აყალიბებს. ქართველ ექიმები კი დაბალი შემოსავლების ამაღლების გზების ძიებით არიან დაკავებულნი. დიდია მათი დამსაქმებლების ზეწოლაც, რაც განსაზღვრავს არსებულ ჰიპერდიაგნოსტიკას (ზედმეტი კვლევების ჩატარება) და პოლიფარმაციას (ჭარბი მედიკამენტების დანიშვნას). არანაკლებ მნიშვნელოვანია ზოგადად სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულება პაციენტის მიმართ სამედიცინო დაწესებულებაში.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის მოგვარების გზებს ეძებს და პოულობს ქართველი პაციენტი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრებისას. დროა სერიოზული ცვლილებები გატარდეს სახელმწიფოს მხრიდან საქართველოში ჯანდაცვის ხარისხის ასამაღლებლად.

◎ ეროვნული ლიგა

კლასიკურ-აკუსტიკური მოტივები

ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენამ“ 70-ე ქართულ „ელ კლასიკოს“ უმასპინძლა. მართალია, ძველ მეტოქეთა პრინციპულ დაპირისპირებაში საგრძნობ უპირატესობას საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ფლობს, მაგრამ ნურც ქუთაისელებს დავუკარგავთ უხერხული მეტოქის სტატუსს, განსაკუთრებით — უკანასკნელ წლებში.

საილუსტრაციოდ შარშანდელი სეზონის ფინიშის გახსენებაც კმარა, როცა დიდუბეში ნამდვილი საფეხბურთო დრამა დატრიალდა. მართლაც, როგორც საქმეა, საკუთარ მინდორზე დასკვნით შეხვედრაში ფრეც გაწყობდეს, მაგრამ დამარცხდე — 0:1, თანაც უკანასკნელ წუთებზე პენალტი ვერ გაიტანო (კიტეიშვილის დარტყმის შემდეგ ბურთი კვასხვაძემ მოიგერია). დაახლოებით ანალოგიურად განვითარდა მოვლენები ამჯერადაც.

„დინამო“ — „ტორპედო“ 0:1

გოლი: კაპანაძე (მე-9 წთ).

ქვეყნის მთავარ სპორტულ სარბიელზე შესული ძნელად წარმოიდგენ, რომ ეროვნული ლიგის ლამის გადამწყვეტ ბრძოლას ესწრები. გარდა იმისა, რომ დაახლოებით 55-ათასიანი ულამაზესი ნაგებობის ტრიბუნები თითქმის ცარიელი გხვდება, რაც ბევრი პრობლემითაა გამოწვეული და უკვე შევეჩვიეთ კიდეც, გულშემატკივარს განწყობას უფუჭებს ერთი შეხედვით ისეთი წვრილმანი საკითხიც კი, როგორიცაა ადგილობრივი რადიოკვანძის ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული სამარცხვინო აკუსტიკა, რის გამოც ვერაფრით გაიგონებ, თუ რას აცხადებს დიქტორი. არადა, მოგეხსენებათ, აღნიშნულ საამაყო ობიექტზე უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეხვედრებიც იმართება ხოლმე. სხვისი არ ვიცი და მე კი ნამდვილად მაინტერესებს, როდისღა დაესმება წერტილი ამ უნებლიე საინფორმაციო ვაკუუმს და, რაც მთავარია, ვის მიერ.

რაც შეეხება თვით მატჩს, მისი ბედი მე-9 წუთზე გადაწყდა მას შემდეგ, რაც რიკოშეტით დაბნეულმა სიკაჩმა უხერხულად მოიგერია ბურთი და შარშანდელი თამაშის გმირმა კაპანაძემ ვარდნაში დაასწრო დამატებაზე ლოჩოშვილს — 1:0.

რიონისპირელები დარჩენილ დროშიც ღირსეულად გამოიყურებოდნენ, რამდენჯერმე უპირატესობის გაზრდაც შეეძლოთ და დამაჯერებლად მიიყვანეს საქმე დამსახურებულ გამარჯვებამდე, რითაც საკუთარი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად „საბურთალოს“ საჩემპიონო შანსებიც გაზარდეს. მეტიც — 11-მატჩიანმა წაუგებელმა სერიამ კახა ჩხეტიანის გუნდს მეორე ადგილის დაკავების პერსპექტივა გაუჩინა, რადგან ფინიშამდე 6 ტურია დარჩენილი, უშუალო კონკურენტს კი ზეგ იმერეთში დაუხვდება.

ლიდერთა ჯგუფი: „საბურთალო“ — 67, „დინამო“ — 62, „ტორპედო“ — 55, „ჩიხურა“ — 53, „დილა“ — 50 ქულა.

გია პლატონიშვილი

◎ ჩოგბურთი

ამჯერადაც - ანდერსონთან

ძართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ბოლო 2 კვირის განმავლობაში სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონს მეორედ დაუპირისპირდა და ამჯერადაც სამ სეტში დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურმა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მიმდინარე მასტერზის პირველ წრეში ავსტრალიელ ჯონ მილმანს აჯობა, გუშინ კი მე-7 ნომრად განთესილ მეტოქესთან 3:6, 7:6 (7:3), 6:7 (3:7) წააგო.

მატჩი 2 საათს გაგრძელდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, აფრიკელის უპირატესობა ძირითადად მისმა ჩინებულმა მოწოდებამ განაპირობა — კევინმა ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა და „ვინერზიც“ მეტი ჰქონდა. ამგვარად, ქართველი ჩოგბურთელისთვის, რომელმაც წლეულს უდიდესი პროგრესი განიცადა, სეზონი დასრულებულია. ე.წ. „ლაივ-რეიტინგში“ ნიკას 1795 ქულა აქვს და 21-ე ადგილზეა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

დედაც მას ჰყოლია

ბევრმა არ იცის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალი ემი ადამსი წარმოშობით იტალიიდანაა და მისი ამჟამინდელი გვარიც ოდენ ფსევდონიმია და მეტი არაფერი. ისიც უნდა ითქვას, რომ მისი დედა ცნობილი ბოდიბილდერი და კუნთთა „გამმარიაჟებელია“.

მკერდვეება ტურფას მშობელი აღნიშნული საქმით ბავშვობიდანვე ყოფილა დაკავებული და მის ნაშიერს არაერთხელ უთქვამს, რომ მასაც თავიდანვე აიძულებდა სპორტულად ცხოვრებას. ქალბატონი ელიზავეტა თავის პროფესიაში ნამეტნავად წარმატებულიც ყოფილა და მრავალი სპორტული ტიტულიც უპყრია ხელთ.

ეკრანის ვარსკვლავი ზედმეტ წონასთან ბრძოლის დიდი გამოცდილების მქონე დიაცია და ამ ფრონტზეც მთელი საიდუმლოებები თურმე მას აღმზრდელმა ასწავლა. ბევრი კი იძახის, ემი ადამსს ფერ-ხორცი ძალიან უხდება და სულაც არაა საჭირო წონის დაკლებაზე მუდმივად იწვალოსო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჰოლივუდში ერთთავად ყურადღების ცენტრში რომ იყო, შიმშილის გაძლებაც უნდა იცოდე...

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ოფლი საფრანგეთში იღვრება

საძართველოს რაგბის კავშირის პრეს-სამსახური პირველ ფოტოს ავრცელებს საფრანგეთიდან, სადაც „ბორჯღალოსნები“ ნოემბრის ტესტებისთვის ემზადებიან.

შეგახსენებთ, რომ მომავალი ბატალიებისთვის ქართველი მორაგბეები იქ 34-კაციანი შემადგენლობით იმყოფებიან შეკრებაზე. მილტონ ჰეიგის შეგირდები საფრანგეთიდან გეზს აპენინებისკენ აიღებენ და 10 ნოემბერს ფლორენციაში იტალიას გაეჯიბრებიან.

„ბორჯღალოსნებს“ შემოდგომის მომდევნო 2 ტესტი თბილისში ელით: საქართველოს ნაკრები 17 ნოემბერს ავჭალის სტადიონზე სამოას დაუხვდება, 24-ში კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ტონგას უმასპინძლებს.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

შერმადინის ნვლილი

გიორგი შერმადინის „უნიკახამ“ საკალათბურთო ევროთასის მე-5 ტურში მე-4 გამარჯვება იზეიმა და D ჯგუფს ყაზანის „უნიქსთან“ ერთად ლიდერობს.

მალაგელები იტალიურ „ტორინოს“ ესტუმრნენ და უხვქულიან მატჩში 105:104 იმარჯვეს, ქართველი ცენტრი კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 21 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

შერმადინმა 9-დან 6 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

საინტერესოა, რომ სტუმართაგან 10-ქულიან ზღვარს ერთბაშად 6 კალათბურთელი ასცდა (ფერნანდესი — 19, სალინი — 11, დიეზი — 14, შერმადინი — 14, რობერტსი — 12, ვილჯერი — 17). პირველთა წარმატებული გარჯა სწორედ კარგმა გუნდურმა თამაშმა გამაპირობა.

მათ მომდევნო მატჩი 7 ნოემბერს ელით, როდესაც შინ ლიტვურ „რიტასს“ დაუხვდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიზმი

ჯილდო — მსოფლიო კავშირს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტმა თომას ბახმა ოლიმპიური ქალაქების მსოფლიო კავშირი — ყოფილი და მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქების ასოციაცია, ოლიმპიურ მემკვიდრეობაში შეტანილი წვლილისთვის ოლიმპიური თასით დააჯილდოვა.

ოლიმპიური ქალაქების კავშირს საფუძველი ათენმა და ლოზანამ ჩაუყარეს. კავშირის მისია თამაშების მასპინძელ ქალაქებს შორის დიალოგის გაღრმავებისა და თანამშრომლობის გზით ოლიმპიური თამაშების განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე მისი მემკვიდრეობის შექმნაა. დღესდღეობით კავშირში 40 ქალაქია გაწევრებული.

„მსოფლიო კავშირი ყოფილი და მომავალი ოლიმპიური ქალაქების გაერთიანებით ოლიმპიურ ცეცხლს მთელ მსოფლიოში აგიზგიზებს“, — ოლიმპიური ქალაქების მსოფლიო კავშირის პრეზიდენტ და ლოზანის მერ **გრეგუარ ჯუნოსთვის** ოლიმპიური თასის გადაცემისას განაცხადა თომას ბახმა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიური თასით ყოველწლიურად აჯილდოებს იმ ინსტიტუტს ან ასოციაციას, რომელსაც ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში აქტიურად შეაქვს წვლილი. ოლიმპიური თასი 1906 წელს დააარსა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა.

ბეჟან დოლიძე

გორში მამაკაცმა დედა დაჭრა, ცოლი სცემა და შვილი გაიტაცა

გორში ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფმა ახალგაზრდა მამაკაცმა დედა დაჭრა, ცოლი სცემა და მცირეწლოვანი საკუთარი შვილი გაიტაცა. გავრცელებული ინფორმაციით, 28 წლის მამაკაცს ეჩვენებოდა რომ ბავშვს სტაცებდნენ.

პოლიციამ ბავშვის გადარჩენა შეძლო, ხოლო მამაკაცი დააპატიმრა. ასევე გავრცელებული ინფორმაციით, პატიმარმა წინასწარი დაკავების იზოლატორში მოიჭამა თითები. მდგომარეობის სიმძიმის გამო მისი გადაყვანა „გორმედის“ კლინიკურ საავადმყოფოში გახდა საჭირო. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

მოლოტოვის კოქტეილების სროლის შედეგად რუსთავში მდებარე ახალი ბაზარი დაიწვა

რუსთავი, ე.წ. სტამბოლის ბაზრის მიმდებარედ, ახალი ბაზრის ტერიტორიაზე ხანძარი იყო. ცეცხლი სავაჭრო ობიექტზე არსებულ დახლებს გაუჩნდა და დაახლოებით, 1 000 კვ.მ. ფართობზე გავრცელდა. დაიწვა გასაყიდი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

მოვაჭრეების ვერსიით, ხანძარი უცხო პირებმა გააჩინეს. მათივე თქმით, ბაზრის ტერიტორიაზე სავარაუდოდ, მოლოტოვის კოქტეილები ისროლეს, რამაც ცეცხლი გააჩინა. მომხდარის გამო, საავადმყოფოში გადაიყვანეს სავაჭრო ობიექტის დაცვის წარმომადგენელი, რომელსაც რთული ემოციური ფონი აღენიშნებოდა.

ქედაში მომხდარ აფეთქების ფაქტზე 3 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფეთქებადი ნივთიერების წესების დარღვევით გამოყენების ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1990 წელს დაბადებული მ.ჯ., 1975 წელს დაბადებული ჰ.ქ. და 1987 წელს დაბადებული ზ.ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ქედის რაიონის სოფელ ჭინკაძეებში, შპს „სტრუიკ გრუპ ჯორჯია“-ს ქვე კონტრაქტორი შპს „ალბაირაქი“-ს და შპს ,,დინამიტი-ლ.დ“-ს თანამშრომლები გამოძიების პირველადი ინფორმაციით უკანონოდ და უსაფრთხოების წესების დარღვევით აწარმოებდნენ ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს. ძლიერი აფეთქების შედეგად გასროლილი ქვა თავის არეში მოხვდა 2012 წელს დაბადებულ გ.ო.-ს, რომელიც მიყენებული დაზიანების გამო ადგილზე გარდაიცვალა.

ახალსოფელში მომხდარ ავარიას ერთი ადამიანი ემსვერპლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში ავტოავარია მოხდა. არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი გარეგანათების ბოძს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა 1 და დაშავდა 1 ადამიანი. ექიმების განცხადებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ კლინიკაში მიყვანილი პაციენტის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება, დაშავებულს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულს ბრალი დაუმძიმდა

საქმე რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო განზრახ მკვლელობის ჩადენის მუხლით გადაკვალიფიცირდა, რაც 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალი დაკავებულს მას შემდეგ დაუმძიმდა, რაც გამოძიებამ ახალი მოწმეები გამოკითხა. მუხლის გადაკვალიფიცირების პარალელურად ვიტალი საფაროვის დედა პროკურატურამ დაზარალებულად უკვე მეორედ ცნო. ცნობისთვის, უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი თბილისში 30 სექტემბერს მოკლეს.

სანთელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ძმა

თენგიზ ალექსიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბრალდებულ ცოლ-ქმარს 8 წლით პატიმრობა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულები, ცოლ-ქმარი მ.ა. და ლ.ს. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ლ.ს.-მ და მ.ა.-მ უკანონოდ შეიძინეს და ინახავდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს, ლ.ს. — 0,94486 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, ხოლო მისი მეუღლე მ.ა. — 2,79087 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“. აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერებები ლ.ს.-სგან და მ.ა.-სგან სამართალდამცველებმა 2018 წლის 4 თებერვალს ქ.ბათუმში ამოიღეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ინტერპოლით ძებნილი მამუკა ხეცურიანი კიევში დააკავეს

საძართველოს მოქალაქე მამუკა ხეცურიანი, რომელმაც პოლონელი ქალი სავარაუდოდ, გააუპატიურა და შემდეგ მოკლა, უკრაინის დედაქალაქში დააკავეს.

ხეცურიანი ქართველმა და უკრაინელმა სამართალდამცველებმა უკრაინაში აიყვანეს. მას ინტერპოლი ეძებდა.

39 წლის მამუკა ხეცურიანს პოლონეთში, ქალაქ ლოძში 28 წლის ქალის სექსუალური მოტივით მკვლელობაში ადანაშაულებენ. ქალი 20 ოქტომბერს გაუჩინარდა და მისი ცხედარი 6 დღის შემდეგ იპოვეს. პოლონურ მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბრალდებულმა 21 ოქტომბერს უკრაინის საზღვარი გადაკვეთა.

◎ მსოფლიო ვალუტა

როცა ყველანი დოლარის „მზეს“ ფიცულობენ

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით სანქციების შემოღება, ჩინეთისა და აზიის მთელი რიგი სხვა ქვეყნის არნახული ეკონომიკური წინსვლა, ბრექსითი, ანუ ევროპიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა და კიდევ მრავალი სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სხვა სახის საკითხი გახდა იმის მთავარი მიზეზი, რომ ამჟამად ქვეყნები ერთმანეთთან სავაჭრო თუ ეკონომიკური ურთიერთობისას ანგარიშსწორების დროს სულ უფრო ხშირად უარს ამბობენ დოლარებით ანგარიშების წარმოებაზე. ამ ერთ დროს უძლეველი ვალუტის პოზიციების ასე მოკლე ხანში დათმობას, ცხადია, არავინ ელოდა, ამასთან, ვფიქრობთ, საინტერესოა, თუ როგორ გახდა თავად დოლარი მსოფლიოს №1 ვალუტა?

ეს, ფორმალურად, 1944 წელს მოხდა ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში გამართულ კონფერენციაზე. იქ ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები წყვეტდნენ, თუ როგორ უნდა აეწყოთ საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. სწორედ მაშინ იყო, რომ ისინი, ფაქტობრივად, დათანხმდნენ, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორებისას დოლარი გამოეყენებინათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თავის მხრივ, ოქროს მიმართ დოლარის მყარი კურსი დაადგინეს, რითაც ეს ძვირფასი ლითონი, როგორც გარკვეული სტანდარტი, საჭირო აღარ იყო.

თუმცა კი, კოალიციის ქვეყნებს არც მაინცდამაინც დიდი არჩევანი ჰქონდათ. **ბრიტანული გირვანქა სტერლინგი,** რომელიც მთავარ მსოფლიო ვალუტად პირველ მსოფლიო ომამდე რჩებოდა, იმ დროისთვის თავისი გავლენა დაკარგა, სადაც დროის განმავლობაში საერთაშორისო ვალუტის როლზე პრეტენზიას აცხადებდნენ **გერმანული მარკა** და **ფრანგული ფრანკი,** მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარკა გაუფასურდა, უკეთესად არც ფრანკის საქმე იყო.

ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი დიდი სახელმწიფო დარჩა მსოფლიოში, რომლის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შედეგად გაძლიერდა: იმხანად მის წილად ოქროს მთელი მსოფლიოს მარაგის სამი მეოთხედი მოდიოდა!

მაგრამ, მერე საქმე ისე წავიდა, რომ ამერიკელებმა, ცოტა არ იყოს, ყველანი „გადააგდეს“: ვიეტნამში ომის შედეგად შეერთებულ შტატებს ფინანსური პრობლემები წარმოეშვა, ამიტომაც 1971 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დოლარი ოქროს სტანდარტზე მიბმული აღარ ყოფილიყო, რაც ოქროს მიმართ მისი დადგენილი კურსით კონვერტირების ხანის დასასრული იყო. ამის შედეგად გაჩნდა დღესდღეობით არსებული **ვალუტების მცურავი კურსების სისტემა (სწორედ მისი შედეგია ლარის ბოლოდროინდელი 2,6-დან 2,7 ნიშნულზე ნახტომი — ო. ტ.),** მაგრამ იმ დროისთვის, დოლარის როლი მსოფლიო ეკონომიკაში უკვე ძალზე დიდი იყო, ამიტომაც ამერიკულმა ვალუტამ თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება შეძლო.

მით უმეტეს, რომ რაიმე განსაკუთრებული ალტერნატივა დანარჩენ ქვეყნებს არც მაშინ ჰქონდათ. თუმცა კი ახლა თანდათანობით წინა პლანზე დოლარის კონკურენტები გამოდიან, რომელთა „ფლაგმანი“, უდავოდ, ჩინური იუანია...

ოთარ ტურაბელიძე

◎ ფიქრები მეორე ტურის წინ

რა ხდება, ხალხო?

შავი ღრუბელი, საავდროდ რომ დაგვჩერებია,
მეჩვენება, რომ ფიურერის არჩევნებია
და შემახსენებს, თუ ფაშიზმი არ გვსურს, არ გვინდა,
ვერ უნდა გვძლიოს იმ დიდმა ზიზღმა,
რაც გვემუქრება ამსტერდამიდან...
ფერი იცვალა უკვე ამინდმა,
და რადგან ბედმა მეორე ტურს არ აგვარიდა,
რა ხდება, ხალხო? ამანაც არ გამოგვაფხიზლა?

ამბავი კაგებელი მაიორისა

ვინც ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა სულხან მოლაშვილს,
რა ხეირს ველით იმ სერიულ მკვლელის მონაში
და მის მორალში - სასტიკსა და გაუგონარში?
როცა შევცქერით ბელზებლის ფეხზე მონახვევს,
რად არ ვკითხულობთ, ვინ ვინ არის და სად მონახეს,
პრეზიდენტობის კანდიდატად როცა გაშანსეს
ჰოლანდიაში გრიშა ვაშაძე?
...გულუბრყვილოთა მოტყუება რა იოლია,
თუ კანდიდატი კაგებელი მაიორია
და აღარ გვახსოვს კუპრწასმული
მისი წარსული?!

ორნაცნობიანი განტოლება

სამაჩაბლო და კოდორი
კრემლს რომ მიართვა გოდორით,
ახლა რომ გრიშას გვიშანსავს,
რა განზრახვა აქვს მიშასა?
გრიშა რომ კრემლის ფანია,
არასდროს დაუფარია,
არის ორთავა არწივის
პაწაწკინტელა ნაწილი,
„კაგებეს“ მაიორია
და რა სურს, თქმა იოლია:
ის ამსტერდამთან ხიდია,
როცა სამშობლოს ყიდიან
და რომ ფეხებზე ვკიდივართ,
ნუთუ საეჭვო კიდეა?!

გზავნილი ამსტერდამში

ინტერვიუერის ერთადერთი შეკითხვა ნაპრეზიდენტალს, რომელსაც თვეში 25 ათას დოლარს აძლევდნენ „ჯიბის ფულად“

ვინც გიყიდა თავის მონად
და ჭაობში გადგაფუნა,
25 ათას დოლარს
ისევ გიხდის ჯიბის ფულად?

ალექსანდრე შენგელია

თუ აკეთებ, გააკეთე!

საერთაშორისო პრინტ ფესტივალი თბილისში

საერთაშორისო პრინტ ფესტივალი თუშეთისა და ბათუმის შემდეგ თბილისში – თიბისი გალერეაში გრძელდება. გამოფენა ზაფხულში, სერიგრაფიის ერთთვიანი ვორქშოფების ფარგლებში ქართველი და უცხოელი არტისტების მიერ შექმნილ ნამუშევრებს აერთიანებს.

ექსპოზიციაზე დამთვალიერებელი ახალგაზრდა არტისტებთან ერთად ისეთი ცნობილი ხელოვანების ნამუშევრებს იხილავს, როგორებიც არიან გელა წულაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ყარამან ქუთათელაძე, გუგა კოტეტიშვილი, გია ბუღაძე, გურამ წიბახაშვილი და სხვები. ხელით ბეჭდვის უნიკალური დარგის გასაცოცხლებლად შექმნილი პროექტი, ქართველ არტისტებთან ერთად, ხელოვანებს აზერბაიჯანიდან, კანადიდან, ისრაელიდან, ლიბანიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან და შვეიცარიიდან აერთიანებს.

საერთაშორისო პრინტ ფესტივალი – „LIFE-N-STYLE“ საქართველოში უკვე მესამედ ტარდება და მისი მიზანი თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – ხელით ბეჭდვის (შოლკოგრაფია, ოფორტი, ლითოგრაფია, გრავიურა) განვითარებისთვის ხელშეწყობაა.

ხელით ბეჭდვის მედია თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა საქართველოში მივიწყებული დარგია, რომლის პროცესშიც თავად არტისტია ჩართული და მისი ყოველი ნამუშევარი ორიგინალია. ხელით ბეჭდვა ნამუშევრის 10-15 ეგზემპლარად ტირაჟირების შესაძლებლობას იძლევა, რაც ნამუშევრის მასობრივად გავრცელებას ამარტივებს და მის ღირებულებას ხელმისაწვდომს ხდის.

„DO OR DO NOT“ – „თუ აკეთებ გააკეთე“ – წლევანდელი ფესტივალის თემაა. გამოფენა თიბისი გალერეაში 7 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ლონდონის რკინიგზის სადგურებში რობოტები „დასაქმდებიან“

ლონდონის სენტ-პანკრასის რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში მგზავრებს ჰუმანოიდი რობოტი Pepper-ი შეეგებება. ის კომპანია SoftBank Robotics-სა და Robots of London-ის ერთობლივი ქმნილებაა. ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტი, პლანშეტის საშუალებით მგზავრებს გადაადგილებისა და სადგურების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის. მისცემს რჩევებს და ამა თუ იმ ადგილის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებზეც მოუყვება. Pepper-ი მსურველებთან სელფსაც გადაიღებს.



Pepper-ს ადამიანური ემოციის გამოხატვაც შეუძლია და ის მგზავრის იმ ემოციით გასცემს პასუხს, რა ემოციაც თავად ამ მგზავრს ექნება. Pepper-ი პირველ მგზავრს 2018 წლის ბოლოდან „მომსახურება“, ხოლო 2019 წლიდან რობოტები ლონდონის ყველა რკინიგზის სადგურს მოიცავენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7203; ევრო - 3.0848;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4657;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.49463;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6044;
1000 სომხური დრამი - 5.5939.

ამინდი 2 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +17
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +20
თბილისი: ღამე +9, დღე +11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge